№ 154

კვირა, 28 აგვისტო

1877—1905

№ 154

კვირა, 28 აგვისტო

გაზეთის ფასი დამატებით: წელიწადში 10 მან., ექვს თვეში 5 მან. თვეში 1 მანათი.

რედაქციასთან მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, უქმეებს გარდა, დილ. 11-დან 12 საათამდე.

დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელზე უნდა გამოიგზავნოს; წვრილ წერილებს რედაქცია არ ინახავს, ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.

ფოსტ. ადრესი: Тиф., Ред. „Иверiя".

ივერია

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პეტიტით პირველ გვერდზე 12 კაპ., უკანასკნელზე 10 კაპ.. წლიური განცხადება—მორიგებით.

განცხადება რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და ე. მეტცლის და ამხ. კანტორებში—მოსკოვსა, პეტერბურგსა და ვარშავაში.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი ადგილობრივი (კავკასიის) განცხადება მიიღება რედაქციაში: ფრეილინის ქუჩაზე, № 5.

ცალკე ნომერი 3 კაპ.

ტელეფონი № 922.

საჯარო ბიბლიოთეკა

დღესასწაულისა გამო შემდეგი ნომერი გამოვა ოთხშაბათს, 31 აგვისტოს.

ოთხშაბათის ნომერთან ხელის-მომწერლებს დაურიგდებათ პრემია „ივერიის ბიბლიოთეკა" № 4, შემდეგის შინაარსით:

1) **ქოხში.**—სცენები სოფლის ცხოვრებიდან **ი. გომართელისა.**
2) **ტყვეობაში.**—**ლ. მელშინისა,** თარგმ. ვ. გ—სა..
3) **საპოლიტიკო ეკონომიის კრიტიკა.**—**ფ. ენგელსისა.**

იმ ინსტრუქციის მე-2 და 5 მუხლების ძალით, რომელიც ეხება მცხოვრებთა წარმომადგენლების კრებებსა და სათათბიროებს **ამიერ-კავკასიაში საერობო დაწესებულებათა შემოღების შესახებ** მოსალაპარაკებლად და თანახმად ტფილისის გუბერნატორის მოწერილობისა, გორის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლის თანამდებობის აღმასრულებელი **თავ. ნ. ა. თუმანიშვილი** იწვევს გორის მაზრის ყველა კერძო მემამულეს, რომელიც სოფლის საზოგადოებას არ ეკუთვნის, აგრეთვე სავაჭრო და სამრეწველო დაწესებულების პატრონთ და იმ მესაკუთრე გლეხებს, რომელთაც სანადელო მიწებს გარდა აქვთ ნაყიდი მიწები, მობრძანდნენ 3 **ამა სექტემბერს,** დილის 10 საათზე, **გორის მაზრის კანცელარიაში, სადაც** მოხდება წინასწარი და საარჩევნო კრებები წარმომადგენელთა ასარჩევად სამაზრო საბჭოში. ეს საბჭო განიხილავს საკითხს საერობო დაწესებულებათა შემოღებისას ამიერ-კავკასიაში. კერძო მოწვევის ბარათები არავის დაეგზავნება. (3—1)

„**ქუთაისის მიხეილის თავად-აზნაურობის საადგილ-მამულო ბანკის** გამგეობა საყოველთაოდ აცხადებს, რომ ამა წლის **პირველ ენკენისთვეს ქ. ტფილისს, ოლღას ქუჩაზე, კნ. დიასამიძის სახლში** № 4, ბანკის დირექტორის კანცელარიაში მოხდება, ბანკის წესდების § 17 ძალით, საჯარო ვაჭრობა ამ ბანკში ტფილისის გუბერნიის სოფლის და ქალაქის დაგირავებულ მამულებისა, სავალდებულო გადასახადების შემოუტანლობისა გამო. მეორე და უკანასკნელი **საჯარო ვაჭრობა** იქმნება 16 ენკენისთვეს.

გასასყიდ მამულების სიები, მათი სივრცე და ვალების რაოდენობა შეიძლება ყოველდღე ინახულონ ზემოხსენებულ დირექტორის კანცელარიაში. (3—3).

ელექტრო-თერაპიული კაბინეტი

მიხეილ გედევანიშვილისა

იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 საათ., საღამოთი 6—7 საათ. უორდანოვის ქუჩაზე (ვერაზე), საკუთარი სახლი № 20, ტელეფონი № 791.

სტუდენტი-უნივერსანტი **ეძებს გაკვეთილებს,** ან რამე საქმეს. ანდრეევის ქუჩა, № 36. ნახვა შეიძლება 4—6 საათ. საღ. და დილით 9—11 საათ. (2—1)

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმები ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ვ. ყ. ჩიქოვანი.—9 საათიდან 10 საათამდე—თვალის, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

გ. ავეტისიანცი. 11—12 საათამდე—კანისა და ვენერიულ-ხირურგიულ ავადმყოფობისა.

ზ. ი. ბაბანასოვი—დილის 11—12 საათ.—ქალისადა ბავშვთა ავადმყოფობანი.

ქ. ი. ბძელიშვილი—12—1 საათ.—ყელისა, ყურისა და ცხვირის სატკივრისა.

ზ. ა. თარხანოვი—1—1½ საათ.—შინაგანის და ბავშვებისა.

ა. პ. ქარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

საღამოობით:

ხ. ქ. აბიანცი—შინაგან ავადმყ. 7—8 საათ.

პ. ა. არდაზიანი.—აწარმოებს მიკრო-ქიმიურ და ტერიოსკოპიულს გამოკვლევას, 5—7 საათ.

ხ. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს.—უკეთებს მასსაჟს მსურველთ სახლში) და აუცრის ყვავილს, გამართავს საექიმო გიმნასტიკას, ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი—ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის — მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი, დოქტორი **ქ. ბძელიშვილი.**

Первая частная лѣчебница д-ра Навасардiана.

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову. წლ.

ტფილისის ექიმები.

კბილის ექიმი

ივანე პ. ახალშენიშვილი

გადავიდა: ნიკოლოოზისა (№ 32) და ხიდის ქ. (№ 21) კუთხეში, ავჭალის ქ. დასაწყისში, სახლი ლაზარაშვილისა. ავადმყოფებს იღებს 9—2 და საღამოს 5—7. კვირა-უქმობით 10—1-მდის.

კბილის ექიმი ნ. ტყეშელაშვილი იღებს ავადმყოფებს 9 საათიდან საღამოს 5 საათ., ოლღას ქუჩა, № 31.

ალექსი-მესხიშვილი, სარდიონ სარდიონის-ძე. იღებს სადოსტაქრო ავადმყოფებსა და საშარდე-სქესებრივ ორგანოებით დასნეულებულთ ყოველ-დღე, ნაშუადღევის 5 საათიდან 6-მდე. ოლღას ქუჩა, № 15.

ვ. ხ. მუსხელიშვილი—კიროჩნისა და დიდის მთავრის ქუჩების კუთხე, სახლი სვანიშვილისა, № 11. მიიღებს თვალით ავადმყოფებს: დილით 12—2 ს., საღამოთი 6—7 საათ., გარდა სამშაბათის

გძელიშვილი კონსტანტინე—ელისაბედის ქუჩა, სახლი 13.

ბესარიონ პაპოვი—ყელ-ყურისა და ცხვირით ავადმყოფობის ექიმი—1—2 სათ. და 5—8 საათ. მიხეილის ქუჩა, ფორერის სახლის № 157

ვაწაძე სფირიდონ—პეტერბურგის ქუჩა, საკუთარი სახლი.

დიასამიძე ალექსანდრე—ლორის-მელიქოვისა და გარონის ქუჩის კუთხე, ფოსტის პირდაპირ, მესხიშვილის სახლი, № 18 —იღებს ავადმყოფებს დილით—9—11 და საღამოთი 6—8-საათამდე.

ექვთიმე ვაშაკიძე—ელიზავეტის და კიროჩნი ქუჩების კუთხე. სახლი ბარამოვისა № 112.

გაბაშვილი გრიგოლ—კოჩუბეის ქუჩა, № 91.

რევოლუცია იაპონიაში

—

იაპონიიდან საგულისხმო ცნობები მოდის,—ხალხმა ტოკიოში აჯანყება დაიწყო, დასწვეს შინაგან საქმეთა მინისტრის სადგომი, ამასვე ემუქრებიან სხვა მინისტრებსაც, თუ სამსახურს თავი არ დაანებეს.

ამ აჯანყების ნამდვილი მიზეზი ჯერ არ ვიცით:—გადასცდა იაპონიის წარმომადგენელი, ზავის შეკვრის დროს—იაპონიის მცხოვრებთა სურვილის, თუ ზავის ყველა პირობა ხალხს ჯერ გაგებული არა აქვს,—ვიცით მხოლოდ, რომ ზავის პირობების გამო უკმაყოფილებას აცხადებს ხალხი.

იქ, იაპონიაში, ხალხი იმდენად მონა არ არის, რომ ვერ გაბედოს თავის უკმაყოფილების გამოთქმა, იქ მთავრობა და მინისტრები ხალხის სურვილების აღმასრულებლად არიან დაყენებულნი. და ამიტომ საკმარისი იყო ხმის გავრცელება, რომ წარმომადგენლები თავიან ინსტრუქციებს გადასცნენ, რომ მთავრობამ ხალხის სურვილების თანახმად არ მისცა მათ ინსტრუქციები და ხალხის მოძრაობამაც იმ წამსვე თავი იჩინა, ხალხმა მოითხოვა მინისტრების გადაყენება.

სადაც ხალხი ბატონად არის სახელმწიფოში, იქ მთავრობა ვალდებულია ყოველ მნიშვნელოვან საქმეზე ხალხის აზრი მოიკითხოს და იმოქმედოს ამავე აზრის მიხედვით. ომი, რომელსაც იაპონიის ხალხმა იმდენი მსხვერპლი შესწირა, რომელსაც იგი თავის ეროვნულ საქმედ სთვლიდა, მის ნებადაურთველად არ დაწყებულა. სამხედრო ხარჯების მომატების დროს, ფლოტის და ხმელეთზე ჯარის გაძლიერების დროს, მან უკვე იცოდა, რომ მალე მოუხდებოდა საშინელი ომი რუსეთთან, და რომ ეს ომი მის მომავალ პოლიტიკურ ცხოვრების ქვაკუთხედი შეიქმნებოდა. ამიტომ მას შეეძლო მოეთხოვა, რომ ზავის პირობებიც ყოფილიყო ისეთი, როგორიც მას უნდოდა, როგორიც მასვე იამებოდა. ხელმწიფის კერძო სურვილებს, მინისტრების კერძო შეხედულებას არავითარი ადგილი არ უნდა ჰქონოდა იქ, სადაც ხალხს თავის სურვილების გამოთქმა უნდოდა.

ეს აჯანყება ნათლად გვიჩვენებს იმას, თუ რის გამო იწყება რევოლუცია ზოგიერთ სახელმწიფოში. რევოლუცია შეუძლებელია იქ, სადაც ხალხი მონობას შესჩვევია, სადაც ხალხის შეგნება და ცნობიერება დახშულია, სადაც ხალხს დავიწყებული აქვს თავისი უფლება,—მიიღოს მონაწილეობა სახელმწიფო საქმეების მართვა-გამგეობაში, სადაც მას სურვილიც აღარ აქვს—გაბატონდეს სახელმწიფოში. ამნაირ ხალხს ყველა ებატონება, ყველა სჩაგრავს და ავიწროვებს და ის კი მორჩილად იტანს შევიწროვებას და ხმას ვერ იღებს დამჩაგვრელის საწინააღმდეგოდ.

მაგრამ დრო გადის და ხალხსაც თანდათან გამოფხიზლება ეტყობა, ხალხი ხედავს, რომ მას ეკუთვნის ბატონობა, რომ მის გარეშე არავის არ უნდა ჰქონდეს უფლება სახელმწიფო საქმეების მართვა-გამგეობისა და თუ ამისდა მიუხედავად მმართველი წრეები ეცდებიან შეირჩინონ წინანდელი ბატონობა და ხალხი მონადვე დასტოვონ, ხალხისაგან აშკარად გამოთქმულ სურვილებს თუ არავითარი ყურადღება არ მიაქცევენ, მაშინ აუცილებელი ხდება განხეთქილება, ხალხი იწყებს ბრძოლას მმართველ წრეების საწინააღმდეგოდ, და, რაკი ხალხის ძალა განუზომელია, გამარჯვებაც მას რჩება და რევოლუცია მმართველ წრეების ჩამოშორებით სრულდება.

ასეა იაპონიაშიაც, ხალხმა დაინახა, რომ მთავრობის მოქმედება მის სურვილებს არ ეთანხმება და მოითხოვა მინისტრების ჩამოშორება. სხვაგან საშინელი ძალმომრეობა, უკიდურესი დაჩაგვრა, ადამიანურ უფლებების ფეხქვეშ გათელვა და ხალხის უმანკო სისხლის დაქცევაც ვერ იწვევს ხალხში იმდენ წინააღმდეგობას, რამდენიც იაპონიაში გამოიწვია უბრალო შემთხვევამ—რუსეთთან ზავის შეკვრამ ხალხის სურვილების დაუკითხავად და დაუკმაყოფილებლად.

იაპონიას მომავალი ვერ შეაშინებს... იქ, სადაც ხალხი მედგრად იცავს თავის ძირითად უფლებებს, ფეხს ვერ მოიკიდებს ძალ-მომრეობა, რომელიც სხვა ქვეყნებში ხალხს არჩობს და ავიწროვებს...

ი. ლ—ძე.

* * *

„ჩამონაჭრების" პროგრამა და წვრილ მესაკუთრეთა „ქომაგობა"

როგორც მკითხველს მოეხსენება, მთავარი პრაქტიკული ღონისძიება, რომელიც სოციალ-დემოკრატიულ პარტიის პროგრამაშია აღნიშნული წვრილ გლეხობის სასარგებლოდ, არის შემდეგი: უსასყიდლოდ მიცემა გლეხებისათვის საკუთრებად იმ ნადელებისა, რომლებიც მათ ახლა უჭირავთ, დაბრუნება მათთვისვე იმ ფულისა, რომელიც გადაუხდიათ ნადელების გამოსყიდვაში, და დაბრუნება იმ მიწებისა, რომლებიც მათ მოუჭრეს და მემამულეებს გადასცეს ბატონ-ყმობის გაუქმების შემდეგ ნადელების მიზომვის დროს. ამგვარად, სოციალ-დემოკრატია წვრილ გლეხობას აძლევს თავის პროგრამით საკუთრებას,—უბრუნებს მიწას, რომელიც გლეხებს დღეს არა აქვთ საკუთრებად.

სოციალ-დემოკრატიულ პროგრამის ამ მუხლიდან ზოგიერთებს და მათ შორის ბ-ნ ი. გომართელსაც ის დასკვნა გამოჰყავთ, რომ ეს პარტია მოსარჩლეობასა და მფარველობას უწევს გლეხებს, ვითარცა წვრილ მესაკუთრეებს, რადგან იგი აძლევს გლეხს საწარმოვო იარაღს—მიწას—და ამგვარად ხელს უწყობს წვრილ წარმოების გაფართოებას. ეს დასკვნა, ჩვენის აზრით, სწორი არის და არც არის, იმის მიხედვით,—მივაქცევთ თუ არ მივაქცევთ ყურადღებას იმ მოტივს, რომლითაც ხელმძღვანელობს პარტია, როცა იგი გლეხებისთვის ნადელებისა და „ჩამონაჭრების" დაბრუნებას თხოულობს.

საქმე იმაშია, რომ თვითონ სოციალ-დემოკრატები აქ აღნიშნულ ღონისძიებას სულ სხვა თვალით უცქერიან და სულ სხვაგვარად ხსნიან, ვიდრე ბ-ნი გომართელი. ისინი ამბობენ: ჩვენ გვინდა ბატონ-ყმობის ნაშთების მოსპობა, გვინდა გაჰქრეს ეგრედ წოდებული დროებით სავალდებულო ურთიერთობა გლეხებსა და მემამულეებს შორის, ჩვენ პირველთ ვიცავთ, როგორც მოქალაქეებს, და ამ შემთხვევაში ვხელმძღვანელობთ მარტოოდენ სამართლიანობის პრინციპით და ვთხოულობთ, რომ გლეხებს დაუბრუნონ ის მიწები, რომლებიც წინად მათი იყო და შემდეგ კი უსამართლოდ წაართვესო. ჩვენ ამით კი არ ვიცავთ გლეხობას, ვითარცა წვრილ მესაკუთრეთა კლასს, არამედ ვუწმენდავთ გზას თავისუფალ ეკონომიურ განვითარებასო. ეკონომიური განვითარება, ნადელების დაბრუნების შემდეგ, მაინც მოახდენს გლეხებში პროლეტარიზაციას, მაგრამ ეს იქმნება წარმოების განვითარების შედეგი და მოხდება ეკონომიურ ევოლუციის აუცილებლობით და არა იმგვარ იურიდიულ უსამართლობით, როგორც ეს მოხდა ბატონ-ყმობის გადავარდნის დროს, როცა გლეხებს მიწები ძალად წაართვესო.

როგორც ხედავთ, ასეთი დასაბუთება სოციალ-დემოკრატიულ პროგრამაში გლეხთა სასარგებლოდ გატარებულ ღონისძიებისა ეწინააღმდეგება იმ აზრს, ვითომ პარტია პრინციპიალურად წვრილ მესაკუთრე გლეხთა ინტერესების დაცვის გზას ადგეს და მას წვრილ მესაკუთრეთა გამრავლება შესაძლებლად და სოციალიზმისთვის სასარგებლოდ მიაჩნდეს. ჩვენ წინააღმდეგნი ვართ, მაგალითად, დამოკიდებულ ერის სამშობლო ენის ძალმომრეობით შევიწროვებისა გაბატონებულ ერის მხრით, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ ეროვნების დაცვის პრინციპით ვხელმძღვანელობდეთ, არამედ იმას, რომ ჩვენ საზოგადოდ ვეწინააღმდეგებით ძალმომრეობასა და შევიწროვებასო. ასე მსჯელობს ჩვენებურ სოციალ-დემოკრატთა უმრავლესობა და ასე მსჯელობენ მათი იდეოლოგებიც მაშინ, როცა მათ პროგრამაში აღნიშნულ „ჩამონაჭრების" განმარტებაზე მიდგება საქმე.

მაგრამ, მეორე მხრით, თუ ამ სუბიექტიურ მოტივს არ მივიღებთ მხედველობაში და პროგრამის იმ მუხლს, რომელშიაც გლეხებისთვის ნადელებისა და ჩამონაჭრების დაბრუნებაა მოთხოვნილი, ობიექტიურად, ე. ი. შინაარსის მხრით, განვსჯით,—უეჭველად ის აზრი უნდა შევადგინოთ, რომ სოციალ-დემოკრატიული პარტია აქ აღნიშნულ პრაქტიკულ ღონისძიებით გლეხებს ეხმარება, ვითარცა წვრილ მესაკუთრე-მწარმოებლებს. მიწა არის საწარმოვო იარაღი სასოფლო მეურნეობაში და როცა ჩვენ ამ იარაღს კერძო მწარმოებლებს ვაძლევთ,—ცხადია, ამით წვრილ მწარმოებელთ ვეხმარებით და მათს ინტერესებს ვიცავთ ახლანდელ საეკონომიო წესწყობილებაში.

ამგვარად, სოციალ-დემოკრატიულ პროგრამის აქ აღნიშნულ მუხლს ისეთი თავი აბია, რომელსაც სახე ორის მხრით აქვს. ერთი მხრიდან თუ შეხედავთ,—იგი შეთანხმებულია „გაპროლეტარების თეორიასთან" და წვრილ მწარმოებლებს არ ჰქომაგობს, ხოლო თუ მეორე მხარედან დააცქერდებით,—წვრილი მწარმოებელთა „მოსარჩლეობას" დაინახავთ, მაგრამ მაშინ მას ვერ შეუთანხმებთ „გაპროლეტარების" დოგმას,—ლოღიკურად შემაერთებელ ხიდს ვერ გასდებთ თეორიასა და პრაქტიკულ მოთხოვნილების შუა. ვერ გასდებთ ხიდს იმიტომ, რომ თუ გლეხობის გაპროლეტარება აუცილებელია, მაშინ უაზრობაა მიწების დარიგება და „აუცილებლობისთვის" შეგნებულად დაბრკოლების გაჩენა.

პროგრამის მუხლის ეს ,,ორსახიანობაა'' მიზეზი იმისა, რომ ზოგი სოციალ-დემოკრატები (უმრავლესობა) თავისთვის შეუძლებლად სთვლიან აწინდელ წესწყობილებაში გლეხების—ვითარცა მწარმოებელთა—ინტერესების დაცვას, ხოლო ზოგს კი თავის პარტიის პროგრამა ისე ესმის, რომ იგი ვითომ წვრილ მწარმოებლებს უწევს „მოსარჩლეობას''.

ეს ორსახიანობა ადვილად აიხსნება, თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომელმაც პარტიის პროგრამაში აღნიშნულ საგრარო მუხლის შეტანა გამოიწვია. რუსეთში და ჩვენშიაც დიდძალი უმრავლესობა მშრომელ ხალხისა არის წვრილი გლეხობა. არც ერთ პარტიას, რომელსაც უნდა ძალა და გავლენა მოიპოვოს ხალხში, არ შეუძლიან უყურადღებოდ დასტოვოს გლეხთა ეკონომიური ინტერესები და თავის პროგრამაში მათ ასე თუ ისე პასუხი არ გასცეს. რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ პარტიის თეორიულ თეზისს შეადგენს წვრილ მწარმოებელ გლეხთა „გაპროლეტარების აუცილებლობა" და ამიტომ მას არ შეუძლიან წვრილ მწარმოებელთა სასარგებლოდ რეფორმებისა და პოზიტიურ ღონისძიებათა გზას დაადგეს. მაგრამ იმ მდგომარეობამ, რომელშიაც იმყოფება დღეს საზოგადოებრივი დანაწილება (დიფერენციაცია), აიძულა იგი კომპრომისი გაეკეთებინა და, «სამართლიანობის პრინციპის» საფუძვლით, გლეხებისთვის ნადელებისა და ჩამონაჭრების დაბრუნება მოეთხოვა. ეს არის პარტიული საკენკი გლეხობისათვის, რომელმაც წვრილი მწარმოებლები უნდა მიიზიდოს პარტიისაკენ...

საერთოდ კი—ყოველ ეჭვს გარეშე—სოციალ-დემოკრატია არ იცავს ამწყოში წვრილ მწარმოებელთა ეკონომიურ ინტერესებს. ეს პარტია უარჰყოფს წვრილ გლეხობის სასარგებლო რეფორმებისა და დახმარების გზას. ეს რომ ასე არ იყოს, მაშინ ამ პარტიის პროგრამა არ გაჩერდებოდა ნადელებსა და ჩამონაჭრებზე, არამედ მოითხოვდა სხვა ღონისძიებებსაც, რომელნიც საჭირონი არიან გლეხთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. გლეხთა მიწათ-მფლობელობის გასადიდებლად არ კმარა ნადელებისა და ჩამონაჭრების დაბრუნება, რადგან, სხვას რომ ყველაფერს თავი დავანებოთ, არიან მრავლად ისეთი გლეხებიც, რომელთაც ნადელებსა და ჩამონაჭრებში წილი არ უდევთ. გარდა ამისა, გლეხს ესაჭიროება არა მარტო მიწა, არამედ ცოდნაც მიწის კარგად შესამუშავებლად. დღეს, მაგალითად, ქართლელ გლეხს საკმაო მიწაც რომ მისცეთ, იგი მაინც შესამჩნევად ვერ გააუმჯობესებს თავის მდგომარეობას, რადგან წარმოების ტეხნიკა პრიმიტიულია და მცირე ნაყოფის მისაღებად მწარმოებელს დიდი შრომისა და დროს დახარჯვა სჭირდება. წვრილ მეურნესთვის, გარდა ტეხნიკის გაუმჯობესებისა, საჭიროა კიდევ კრედიტის მოწყობა და მევახშის კლანჭებიდან დაფარვა, საჭიროა მცენარეების მავნებელ მწერებთან და საქონლის ჭირთან ბრძოლის მოწესრიგება, საჭიროა ამხანაგობათა დაარსება, გზების გაუმჯობესება და მრავალი კიდევ სხვა.

მაგრამ ყველა ამგვარ ღონისძიებათ სოციალ-დემოკრატია პრინციპიალურად უარჰყოფს, რადგან ისინი მას უნაყოფოდ მიაჩნია. ამიტომაც მის პროგრამაში, გარდა ნადელებისა და ჩამონაჭრებისა, ნახსენები არაა თითქმის არაფერი, არც ერთი სოციალ-ეკონომიური ღონისძიება, რომელიც წვრილ მწარმოებელ გლეხთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად არის საჭირო და სასარგებლო.

ამგვარად ჩვენ შეცდომად მიგვაჩნია იმათი აზრი, რომელნიც ფიქრობენ, რომ ვითომ სოციალ-დემოკრატია წვრილ მწარმოებელ მეურნეთა დამცველი და მოსარჩლე იყვეს. გარდა „გაპროლეტარების დოგმისა", არის კიდევ სხვა პრინციპიც, რომლის გამო მას არ შეუძლიან გლეხობას, ვითარცა მწარმოებელთ, ქომაგობა გაუწიოს.

თუ რა პრინციპია ეს, ამაზე ჩვენ შემდეგ წერილში მოვილაპარაკებთ.

* * *

კიდევ აგრარულ საკითხის შესახებ

—

ფილოსოფოსს პლატონს არ მოსწონდა თანამედროვე საზოგადოებრივი წყობილება. ის ჭკვიანი კაცი იყო. დაჯდა და გამოხატა თავის გონებაში იდეალური რესპუბლიკა და ამით აუწყა კაცობრიობას: აი, ასე უნდა მოეწყოს საზოგადოებრივი ცხოვრება და ადამიანი მაშინ ბედნიერი იქნებაო. მას შემდეგ საუკუნეებმა განვლეს, მაგრამ პლატონის რესპუბლიკა ქვეყნად არ დამყარდა, თუმცა პლატონი დიდი ნიჭის პატრონი იყო და ბევრი კარგი სურვილები ჰქონდა. სენ-სიმონს არ მოსწონდა თანამედროვე საზოგადოებრივი წყობილება; ჩაიკეტა კარი თავის კაბინეტში და ბევრი შრომა მოანდომა საზოგადოებრივი წყობილების იმგვარ გეგმის შექმნას, რომ ხალხი გაბედნიერებულიყო. ამგვარადვე მოიქცა ფურიე და ბევრი სხვა საზოგადოებრივი ცხოვრების მკვლევარი. სენ-სიმონი, ფურიე და სხვა მათ გზა-კვალზე მდგომი მეცნიერნი ნიჭიერი პირები იყვნენ, ხალხისათვის მართლა შესტკიოდათ გული, ბევრი კარგი სურვილები ჰქონდათ, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მათი სურვილები განუხორციელებელი დარჩა და ხალხი დღესაც უბედური მსხვერპლია.

რატომ მოხდა ეს? აი რატომ:

იმ სურვილებსა და იმ აზრებს, რომლებსაც ცხოვრებასთან არავითარი კავშირი არა აქვთ, არავითარ ხალხის გაბედნიერებაც არ შეუძლიანთ. საქმე იმაში კი არ არის, თუ როგორი სურვილები ებადება ამა თუ იმ პირს; მნიშვნელობა იმას კი არა აქვს, რომ ჭკვიან კაცებს დიადი სურვილები და განზრახვანი ჰქონდეთ,—მნიშვნელობა მხოლოდ იმასა აქვს, რომ თითოეულ ადამიანისაგან და საერთოდ ყველასაგან იმგვარი სურვილები იყოს წამოყენებული, რომლებსაც თვით ცხოვრებასთანა აქვთ მჭიდრო კავშირი. ადამიანი, რაც უნდა გენიოსი იყოს თავის სურვილების განხორციელებაში უმნიშვნელო ფუმფლაა მაშინ, როდესაც ის ცხოვრების გარეშე სდგას, ცხოვრებასთან შეუთანხმებლად მოქმედებს; ხოლო იგივე ფუმფლა-ადამიანი დევგმირად იქცევა ხშირად მაშინ, როდესაც ის თავის სურვილებს ცხოვრების მსვლელობას, ცხოვრების მოთხოვნილებას შეუთანხმებს ხოლმე. ძალა ადამიანის სურვილებს კი არა აქვს, ძალა თვით ცხოვრების სურვილებსა აქვს. ცხოვრება არ არის ნაყოფი ადამიანთა ნებისა და სურვილებისა,—ცხოვრებას თავისი საკუთარი აუცილებელი კანონები აქვს, თავისი საკუთარი აუცილებელი ზრდა-განვითარება და თვისი საკუთარი აუცილებელი სურვილები. იქ, სადაც აუცილებლობაა, ადამიანის სურვილებს, იმ სურვილებს, რომლებიც ადამიანის თავში იბადებიან ცხოვრების ზემოქმედების გარეშე, არავითარი ნაყოფის გამოღება არ შეუძლიანთ. მხოლოდ ის სურვილია ნაყოფიერი, რომელიც ცხოვრების გულში ისახება და ადამიანის გონებაში კი გაიფურჩქნება და გაიზრდება.

ადამიანი ცხოვრებაში იგივეა, რაც მემანქანე ორთქლმავალზე. ორთქლმავალის მუშაობასა და მსვლელობას თვისი განსაზღვრული მექანიზმი და გზა აქვს. მემანქანის სურვილებს აქ არავითარი მნიშვნელობა არა აქვს: მემანქანის მოქმედება წინდაწინვე განსაზღვრულია ორთქლმავალის მექანიზმითა და გზით. ადამიანიც ამგვარივე მემანქანეა. ის უნდა იხედებოდეს ცხოვრებაში და თავისი მოქმედებით ხელს უწყობდეს ცხოვრების სურვილების განხორციელებას. ცხოვრების მკვლევარი ხშირად აწმყოსა და მომავალს, აწმყოსა და მომავლის სურვილებს ერთიმეორეში ურევს. ეს დიდი შეცდომაა: მომავლის სურვილების განხორციელება აწმყოში შეუძლებელია, ე. ი. ყოველი დრო ანხორციელებს თავის საკუთარ სურვილებს, საკუთარ მოთხოვნილებებს და ამიტომაც ის ადამიანი, რომელიც ცხოვრების წინმსვლელობას ემსახურება, უნდა ემსახურებოდეს აწმყოს, ამით ემსახურება ის მომავალსაც,—მომავლის განხორციელება შეიძლება მხოლოდ აწმყო დროის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებით.

ავიღოთ მაგალითი. სოციალისტს სწამს, რომ კაცობრიობის ბედნიერებისათვის საჭიროა სოციალიზმი; ამავე დროს ის ხედავს, რომ სოციალიზმის განხორციელება ეკუთვნის მომავალს, აწმყო კი მხოლოდ პატარა ქვებს იძლევა სოციალიზმის დიად შენობის აგებისათვის. ის, ვინც

დარწმუნებულია, რომ ამგვარი დიადი შენობა ერთბაშად არ აიგება, ხელს ჰკიდებს შავ მუშაობას, ამ პატარ-პატარა ქვებს აგროვებს, აშალაშინებს და ერთიმეორეზე აწყობს იმ იმედით, რომ ამგვარის შრომით ოდესმე დიადი შენობა აიგება. ცხოვრების განვითარებამ ნახტომები არ იცის,—ცხოვრება ნელის, მაგრამ შეუჩერებელის ნაბიჯით მიდის წინ. რომ შეიძლებოდეს ერთბაშად გავლა ამ გზისა, რომ შეიძლებოდეს ცხოვრების ერთბაშად გარდაქმნა, ამას რაღა აჯობებდა! ვინ იქმნებოდა ისეთი შტერი, რომ ამის უარს იტყოდა: არა, ნელის ნაბიჯით ვიაროთ, რა გვეჩქარებაო! მაგრამ საქმე იმაშია, რომ ცხოვრება მძლავრია, ადამიანი ფრიად სუსტი და ამიტომ ყოველი ჩვენგანი იძულებულია, აჰყვეს ცხოვრების ნელ ნაბიჯს და, რამდენადაც შეუძლია, ხელი შეუწყოს მის აჩქარებას.

სწორედ ამ მოსაზრებით ვხელმძღვანელობდი და დღესაც ვხელმძღვანელობ ჩვენებურ აგრარულ საკითხში. ჩვენი გლეხი იმგვარადვე იყვლიფება სოფელში, როგორც ჩვენი მუშა ქალაქში. ეს ყვლეფა მოისპობა მხოლოდ მაშინ, როდესაც მიწა იქმნება მხოლოდ მიწის მუშისა. მიწა რომ მხოლოდ მიწის მუშისა იყოს, საჭიროა მიწის გასაზოგადოებრიობა. ამგვარად სოფლად ექსპლოატაციას, გლეხის გაყვლეფას მოსპობს მიწის გასაზოგადოებრიობა და სხვა ვერაფერი.

აქამდე „ცნობ. ფურცლის“ თანამშრომლები და მე ერთნაირად ვმსჯელობთ, ერთნაირად ვუყურებთ აგრარულ საკითხს. ხოლო, როდესაც ისინი ამბობენ: ჩვენი გლეხობა მიწის სოციალიზაციას ახლავე მოითხოვსო, აქ მე ვერასგზით ველარ დავეთანხმები მათ და მათი იმედი უნიადაგო იმედად მიმაჩნია: მიწის გასაზოგადოებრიობა ჩვენში მომავლის საქმეა, შორეულ მომავლისა, ჩვენს აწმყო ცხოვრებას ამის განხორციელება არ შეუძლიან. ჩვენს გლეხს ბევრ რასმე შეაგნებინებთ, ხოლო მიწის გასაზოგადოებრიობა რომ მისთვის სასარგებლო იყოს, ამაში მას ვერას გზით ვერ დაიყოლიებთ. კიდეც რომ დაიყოლიოთ, ეს მაინც საკმაო არ არის მიწის სოციალიზაციის მოსახდენად. ამიტომ იმის დაჟინება: ჩვენთვის მიწის სოციალიზაცია არის საჭირო, უნაყოფო შრომად მიმაჩნია,—მიმაჩნია იმიტომ კი არა, რომ ეს საჭირო არ იყოს,—არა, საჭირო კი არა, ფრიად საჭიროცაა, მაგრამ ჩვენს ცხოვრებაში ძალთა განწყობილება და ამ განწყობილების შეგნება იმ საფეხურზე არა დგას, რომ აწმყომ მიწის სოციალიზაცია მოახდინოს,—ეს არის მომავლის საქმე.

მაშ რა უნდა ვქნათ? უნდა დავიკრიბოთ გულზე ხელები გავჩერდეთ ერთ ადგილზე და ვიძახოთ, ჩვენთვის საჭიროა მიწის სოციალიზაცია, ჩვენთვის საჭიროა, საჭიროა და სხვ? არა ჩვენ უნდა მოვიქცეთ ისე, როგორც იქცევიან ქალაქ ადგილას მუშათა ორგანიზაციები. მუშების საბოლოო მიზანია სოციალიზმი,—საწარმოვო საშუალებათა გასაზოგადოებრიობა და ამისდა შესაფერად საზოგადოებრივი ურთიერთობის მოწყობა. დღევანდელ პირობებში ამ მიზანს ისინი ვერ განახორციელებენ, ეს არის მომავლის საქმე, იქნება, შორეულ მომავლისაც. ეს მუშებმა კარგად იციან, მაგრამ მიუხედავად ამისა, ისინი ერთ ალაგს კი არ ტკეპნიან და კი არ იძახიან, მოგვეცით სოციალიზმი, თორემ გაეიფიცებითო,—ისინი ებრძვიან უსამართლობას, ექსპლოატაციას იმდენად, რამდენადაც ეს შესაძლებელია აწმყო ცხოვრებას, პირობებში; ისინი იბრძვიან ქირის მომატებისათვის, სამუშაო დროის შემცირებისათვის, რიგიან სადგომისათვის, გაფიცვის თავისუფლებისათვის, საარჩევნო უფლებებისათვის და სხვ. ყველა ესენი ერთად სოციალიზმს კი არ წარმოადგენენ, არამედ მხოლოდ სადღეისო საჭიროების აწმყო დროის მოთხოვნილებას—სოციალიზმის ქვებს. ამგვარადვე უნდა მოიქცეს ჩვენი გლეხობაც. ის უნდა ებრძოლოს უსამართლობას, ექსპლოატაციას და ამგვარად, არსებულ პირობებში, გაიუმჯობესოს თავისი ცხოვრება.

ვეთანხმები „ცნობ. ფურც.“ თანამშრომელს, როდესაც ის ამბობს: „გლეხებიც ისეთის ურთიერთობის დამყარებას უნდა სცდილობდნენ სოფლად, როგორსაც ქალაქებში მუშები ესწრაფვიანო“. სრული ჭეშმარიტებაა. მაგრამ აგერ საუკუნეზე მეტია, რაც მუშები „ესწრაფვიან“, მაინც საბოლოო მიზნამდე ჯერ ვერ მიუღწევიათ და ვინ იცის, როდის მიაღწევენ. მათ კარგად ახსოვთ ეს საბოლოო მიზანი და ამავე დროს ყოველდღიურ ცხოვრებაში იბრძვიან, თავის მდგომარეობას ნელნელა იუმჯობესებენ, ნელნელა აშენებენ დიად შენობას სოციალიზმისას. ამ ნახევარ საუკუნის წინად, ევროპის მუშა იყვლიფებოდა, დღესაც იყვლიფება, მაგრამ წარსულსა და ახლანდელ ყვლეფის შუა დიდი განსხვავებაა: წინად ევროპის მუშა გაცილებით უფრო იყვლიფებოდა, ვიდრე დღეს. წინად ევროპიელი კაპიტალისტი გაცილებით უფრო ხელგაშლილი სჩაგრავდა მუშებს, ვიდრე დღეს. ამგვარად მუშები ნელ-ნელა, თანდათან იმარჯვებენ, ნელ-ნელა ამარცხებენ თავის მტერს და თანდათან უახლოვდებიან საბოლოო მიზანს.

სწორედ ამ გზას უნდა დაადგეს ჩვენი გლეხიც,—სხვა გზა მისთვის არ არსებობს. ერთბაშად ის ბედნიერებას ვერ მოიპოვებს,—ეს შეცდომაა, თავის მოტყუებაა. მან კარგად უნდა გაითვალისწინოს ყველა გაყვლეფილთა საბოლოო მიზანი, მაგრამ ცრუ იმედებით თავი არ უნდა მოიტყუოს და კარგად უნდა იცოდეს, რომ მას მარტო თავის თავისა და მასავით გაყვლეფილების იმედი უნდა ჰქონდეს მხოლოდ. ჩვენს გლეხს გამარჯვება მისმავე მარჯვენამ უნდა მოუპოვოს, მაგრამ გლეხმა უნდა შეიგნოს, რომ მისი მარჯვენა არც იმდენად მძლავრია და მისი მოწინააღმდეგე არც იმდენად სუსტი, რომ მან ერთის დაკვრით გაიმარჯვოს; ერთის დაკვრით ის თავის საბოლოო მიზანს ვერ მიაღწევს. გლეხს დღეს შიან, მას კი ეუბნებიან: შენ მხოლოდ მაშინ გაძღები, როდესაც მიწის სოციალიზაცია უსათუოდ მოხდება. გლეხს კი დღეს შიან,—დღეს—და, ცხადია, ერთი საუკუნის შემდეგ რომ მიწის სოციალიზაცია მოხდეს, დღეის მშიერს ამით კუჭი არ გაუძღება.

როდის გახდება შესაძლებელი მიწის სოციალიზაცია, დაახლოებითაც ირავინ არ იცის; ამიტომ დღევანდელს პირობებში დღევანდელ გლეხისათვის ნადელებისა და ჩამონაჭრების პროგრამას დიდი მნიშვნელობა აქვს. რა უნდა ქნას დღევანდელს პირობებში გლეხმა? მან უნდა შეიმატოს სამართლიანის გზით მიწა, ე. ი. დაიბრუნოს ის, რაც მისი იყო და, მაშასადამე, მას ეკუთვნის, და შექმნას ისეთი დამოკიდებულება მიწის მესაკუთრეებთან, რომ თვითონ, რაც შეიძლება, ნაკლებად იყვლიფებოდეს. ავიღოთ მაგალითი. მოძრაობის დაწყებამდე ზემო-იმერეთში გლეხი იღებდა კარგ მიწას სანახევროდ, თვითონ უნდა მიეტანა მიწის პატრონისათვის მისი ნაწილი. დღეს კი ამავე მიწას გლეხი მუშაობს სამეოთხედოდ და ვალდებული არ არის, მიწის პატრონს მისი წილი მიუტანოს. ამით გაიმარჯვა ზნეობრივადაც, ქონებრივადაც. ზნეობრივად მან მით გაიმარჯვა, რომ კლასობრივ ბრძოლის საჭიროების სარგებლობაში და სამართლიანობის ძლევამოსილებაში დარწმუნდა; ქონებრივად მით გაიმარჯვა, რომ სანახევროდ მუშაობის დროს ის გაცილებით უფრო იყვლიფებოდა, ვიდრე დღეს იყვლიფება სამეოთხედოდ მუშაობის დროს.

ეჭვს გარეშეა, ყოველივე ეს მხოლოდ დროებით დააკმაყოფილებს გლეხის ცხოვრებას, „რომელიც ცოტა ხნის შემდეგ ისევ ამოჰხეთქავს და ისევ ისე შეარყევს მყუდროებას“. ხოლო საქმეც იმაშია, რომ ერთის ამოხეთქით, ერთის შერყევით არც ერთ დაჩაგრულ კლასს არ მოუპოვებია გამარჯვება და ვერც გლეხი მოიპოვებს; ის იძულებულია, გამოჰგლიჯოს ცხოვრებას ის, რის გამოგლეჯაც არსებულ პირობებში შესაძლებელია, სამაგიეროდ ბევრჯერ უნდა ამოჰხეთქოს, ბევრჯერ უნდა შეარყიოს მყუდროება, დიდხანს უნდა იბრძოლოს, არ უნდა გაიტეხოს გული და მხოლოდ მაშინ, მხოლოდ ამ გზით მიაღწევს ის საბოლოო მიზანს.

ი. გომართელი.

დეპეშა

(რუსეთისა და პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოებისაგან)

26 აგვისტო.

ნიუ-იორკი, 25 აგვისტო. იმ ხმების გამო, ვითომც ზავის საქმეს საფრთხე მოელოდეს, კომურამ განაცხადა, მიკადო საზავო პირობებზე უსათუოდ ხელს მოაწერსო.

ტოკიო, 25 აგვისტო. უფრო მწვავ მანიფესტაციებს ელიან. ზომები მიღებული. დეპეშებზე ცენზურა დააწესეს.

გულჯულინი, 26 აგვისტო (სპ. კორესპონდენტ.). 23 აგვისტოს, ფრთებზე სროლა ისმოდა. ზვერვის დროს ერთი ოფიცერი და ორი სალდათი დაიჭირა.

ჰამბურგი, 26 აგვისტო. ბანგკოკიდან ბრემენისკენ მომავალ გემის „შვრია რიკმერს“-ის კაპიტანი კოლომბოდან იუწყება, რომ ხოლერით სამი კაცი მოკვდა და ორიც ავად გახდათ. დეზინფექცია მოახდინეს.

ლონდონი, 25 აგვისტო. ინგლის-იაპონიის ხელ-შეკრულობის ტექსტს უსათუოდ რუსეთ-იაპონიის ხელ-შეკრულობის რატიფიკაციასთან ერთად გამოაქვეყნებენ.

ლიბავა, 26 აგვისტო. სამხედრო-საზღვაო სასამართლოს შუამდგომლობა ამის შესახებ, რომ ჯანყებულ მატროსებს სიკვდილით სასჯელი სხვანაირ სასჯელით შეეცვალოთ, შეწყნარებულ იქმნა. ორ მატროსს უვადო კატორღა გადაუწყვიტეს, ერთს—20 წლით, ერთს—თვრამეტის წლით, სამს—თხუთმეტის წლით და ერთსაც—ათის წლით.

ოდესა, 25 აგვისტო. ოდესიდან ათი ვერსის სიშორეზე, სოფელ ფონტანკის ნაპირზე ზღვამ გვამი გამორიყა. ჯიბეში უპოვეს შემოწმება ჯავშნიან გემის „გიორგი პობედონოსეც“-ის ლეიტენანტის, გრიგორკოვის სახელობაზე, საათი და 336 მანათი. გრიგორკოვს თავისთავის უსროლია და წყალში გადავარდნილა იმ დროს, როდესაც გემზე მატროსები აჯანყდნენ.

სევასტოპოლი, 26 აგვისტო. გრიგორკოვის გვამს პეტერბურგში წაასვენებენ.

ტოკიო, 24 აგვისტო. „ქოქუკო“ და სხვა გაზეთები დაბეჯითებით ითხოვენ, რომ, არეულობის თავიდან ასაცილებლად, კაბინეტის წევრებმა სამსახურს თავი უნდა დაანებონ.

ტოკიო. 25 აგვისტო (რეიტერი). გაზეთ „კოკუმინ“-ის რედაქციის აკლების შემდეგ, ბრბო შინაგან საქმეთა სამინისტროს სახლისკენ გაემართა, პოლიციამ უკან დააბრუნა და სახლი გადაწვა. ბრბომ ქრისტიანთა ათი ეკლესია, მისიონერთა სადგური და სკოლა გადაწვა.

შანხაი, 24 აგვისტო. ჩინელების სიტყვით, აქ ზავით კმაყოფილნი არ არიან. სრულ კმაყოფილებას გრძნობენ მხოლოდ ჩინეთი და ინგლისი.

ბერლინი, 25 აგვისტო. აღმოსავლეთ პრუსიაში ხოლერით ავად კიდევ ექვსი კაცი გამხდარა. ავად სულ ოთხმოც-და-ათი კაცი გახდა; ამათგან 30 კაცი გარდაიცვალა. ბერლინის პოლიციის პრეზიდენტმა გამოაცხადა, რომ ეპიდემიის თავიდან ასაცილებლად, სასტიკი სისუფთავე უნდა იყოს დაცული. ხვალ ზეით მოხდება სხდომა საიმპერატორო სასანიტარო რჩევისა, რომელმაც ეპიდემიასთან საბრძოლველად ზომები უნდა შეიმუშაოს.

რომი, 26 აგვისტო. სამხრეთ იტალიიდან იუწყებიან, რომ იქ დიდი მიწის-ძვრა ყოფილა. ქალაქი პიცცო თითქმის სულ გახადგურებულა. ზარალი ჯერ გამოანგარიშებული არ არის.

ტოკიო, 26 აგვისტო. დღეს მშვიდობიანობაა. არავითარი არეულობა არა ყოფილა.

პარიზი, 26 აგვისტო. (ჰავასი). იაპონიის ელჩს გაზეთ „ტან“-ის თანამშრომელთან უბაასია და, სხვათა შორის, ისიც უთქვამს, რომ ტოკიოში მომხდარ ამბებს ძალიან აზვიადებენო.

კოპენჰაგენი, 26 აგვისტო. ინგლისის ესკადრა აქ დილის ათს საათზე მოვიდა.

პეტერბურგი, 26 აგვისტო. განსაკუთრებულმა რჩევამ, გრაფ სოლსკის თავმჯდომარეობით, განაგრძო განხილვა სახელმწიფო სათათბიროს დებულების მოქმედებაში მოყვანის შესახებ და გადასწყვიტა, რომ წინასწარი კრებები მხოლოდ ქალაქებში უნდა მოხდეს ხოლმე, ამასთანავე სამაზრო მიწის-მფლობელებსაც კრებებზე დასწრების ნება ეძლევათ. შემდეგი სხდომა ხვალისთვის დაინიშნა.

ტოკიო, 25 აგვისტო. გუშინ, 9 საათსა და 30 წუთზე, ქალაქის შუა-გულში [illegible]. მალე ქუჩები ხალხით გაივსო. ტრამვაის მიმოსვლა შეაჩერეს. კაბინეტის დღევანდელ სხდომაზე გადასწყვიტეს, სამხედრო წესები გამოაცხადონ (რეიტერი).

ჟურნალ-გაზეთებიდან.

ზავი და ევროპის პრესსა. „ბელგიური გაზეთი „პეოპლი“ სწერს: „ამ ომმა მთელ ქვეყანას ცხადად დაინახა, რომ რუსეთის ბიუროკრატია უვიცი და უძლური. ეს ომი მშვენიერი მაგალითია ყველა ხალხისთვის. ჩვენ გულწრფელად ვუსურვებთ რუსეთის ხალხს, რომ მან, რაც შეიძლება მალე და სამუდამოდ სრული თავისუფლება მოიპოვოს და ღირსი გახდეს განათლებულ ხალხთა ოჯახის წევრობისა.

„დეილ ტელეგრაფ“-ი სწერს: „იაპონელებს არ უნდა დაავიწყდეთ, რომ ამიერიდან მთელ აზიის ბატონები ისინი არიან. იაპონიის ჯარის წინ მთელი ქვეყანა მუხლს იდრეკს და აღტაცებით იხსენიებს იმის თავგანწირულ სიმამაცეს, გიჟურ გამბედაობას, საარაკო ვაჟკაცობას, სამაგალითო მამულიშვილობას, თვითშეგნებას, განათლებისა და ნამდვილ სპარტანულ ამტანობას. ამიერიდან ინგლისი მარტო აღარ იქნება, მან აღმოაჩინა ისეთი მეგობარი—იაპონია, რომლის მეგობრობას ახლა მთელი ქვეყანა ეძებს. ასეა თუ ისე, იქ, შორს, აზიაში ახალი კულტურა დაიბადა, ახალი ძალა გაჩნდა და მის განვითარებას ვერავინაც ვერ შეაყენებს (ს.).

ჩინეთის ნოტა. ჩინეთის წარმომადგენელმა ამ დღეებში რუსეთის მთავრობას წარუდგინა ნოტა, რომელიც ჩინეთის სახელმწიფო მოღვაწეებმა და მთავრებმა შეადგინეს. ნოტაში, სხვათა შორის, ნათქვამია: 1) გათავდება თუ არა ომი, ჩინეთი მანჯურიაში 50,000 სალდათს გაგზავნის ამ ქვეყნის დასაცავად; 2) მანჯურიაში მართვა-გამგეობის ახალი წეს-რიგი იქმნება შემოღებული; 3) ჩინეთი მანჯურიის დაბრუნებისთვის იაპონიას მადლობას გადაუხდის და პორტ-არტურისა და დალნის მიდამოების დაბრუნებას სთხოვს; 4) ჩინეთის იმპერატორს იმედი აქვს, რომ ამის გათავების შემდეგ რუსეთი და იაპონია დამეგობრდებიან.

საპარლამენტო არჩევნები შვეციაში. სექტემბერში დაიწყობა დეპუტატების არჩევნები ზემო პალატაში. საარჩევნო აგიტაცია დაიწყო კიდეც და პოლიტიკურმა პარტიებმაც თავიანთი კანდიდატები დაასახელეს. საპარლამენტო ბრძოლის ასპარეზზე სამი პარტია გამოვიდა: 1) მემარჯვენენი, რომელთაც ზემო პალატაში უმეტესობა ეკუთვნით, ეს პარტია რამდენიმე ფრაქციად არის დაყოფილი; აგრარიები, ულტრა-პროტექციონისტები, ნაციონალისტები და სხ.; 2) ლიბერალები და 3) სოციალისტები. ამ სამ პარტიიდან ყველაზე მეტი ძალა ლიბერალებს აქვთ. უკანასკნელ დროს სოციალისტების პარტიაც გაძლიერდა, მაგრამ პარლამენტში დიდი მნიშვნელობა არა აქვს, რადგან მათ იდეებს უმეტეს ნაწილად მუშები მისდევენ, საარჩევნო უფლება კი იმდენად შეზღუდულია, რომ აუა-

ფელეტონი

ცოლი

ლიზა ჭკუასელიძისა გამოეწყო კოხტად კაბაში, სარკის წინ ერთი ათჯერ მაინც მიტრიალ-მოტრიალდა და ხან გაიცინა, ხან სერიოზული სახე მიიღო, ბოლოს თავის თავს თვალი ჩაუკრა და კმაყოფილი ტანსაცმელისა და თავის თავისა, მხიარულად გვერდზე გატრიალდა.

სალამო ხანი იყო. სიბნელე ოთახს ქურდულად ეპარებოდა. ლიზამ აღარ იცოდა, რა გაეკეთებინა, ოთახში მიიხედ-მოიხედა, მაგიდიდან მაკრატელი აიღო, სავარძელში დაეშვა და ფრჩხილების წმენდა დაიწყო. მაგრამ რაღაცა მოუსვენრობა ეტყობოდა; ერთ ალაგას ვერ ისვენებდა და წამდაუწუმ საწოლ ოთახის მიხურულ კარებისაკენ იხედებოდა. ბოლოს წამოდგა, კალთა დაიბერტყა, მაკრატელი უსიამოვნოდ მაგიდაზე დააგდო და ხმამაღლა წამოიძახა.

— უჰ, როდის ადგება! თუკი დავიგვიანებთ, რაღა გამოვა!

ლიზამ ერთი კიდევ შეხედა საწოლ ოთახის კარებს, პატარახანს ყური მიუგდო, შემდეგ ფანჯარასთან მივიდა და ქუჩას გახედა.

ის იყო 27—28 წლისა, მოხდენილი, ოდნავ ჩასუქებული ტანისა. შავგვრემანი, ჩათქვირებული სახე და ცოცხალი შავი თვალები უბრწყინავდა: ლურჯი აბრეშუმის კაბა სადად, მაგრამ კოხტად ჰქონდა გამოწყობილი. კრემის ფერი კრუჟევებით მორთული გული სქელი „პრიჩესკით“ მოკაზმულ სახეს ამშვენებდა.

ლიზა უყურებდა ქუჩას, გამვლელ-გამომვლელს, ეტლების ჩქარ სიარულს და ფიქრებში წავიდა. მისი ფიქრები იყო ნაწყვეტ-ნაწყვეტი, უთავბოლო, წარსულიდან, აწმყოდან და გამოურკვეველის მომავლიდან.

ოთხი წელიწადია, რაც იგი გათხოვდა. გიგო მაშინ ჯერ კიდევ სტუდენტი იყო. ერთ ოჯახში გაიცნო ლიზა და, თუმცა ლიზას არავითარი ყურადღება არ მიუქცევია, გიგო მაინც აედევნა და არშიყობა დაუწყო. ლიზას მაშინ ერთი აფიცერი მოსწონდა და გიგო კი ჭირივითა სძულდა: აბრაზებდა, დასცინოდა, სცდილობდა როგორმე გვერდი აექცია და, ერთს მშვენიერს დღეს, დედ-მამამ რომ გამოუცხადა: გიგო ჭკუასლიძემ შენი თავი გვთხოვაო, ლიზამ ნაძალადევად გადიკისკისა და სთქვა: ტყუილად გასჯილა, უთხარით თავის ჩალხანა მოსძებნოსო. მშობლებმა იწყინეს და ერთ-ხმად გამოუცხადეს: შენ თუ მასხრობა გინდა, ჩვენ არ გვემასხრებაო. აქედან დაიწყო ლიზას ტანჯვა. დღე არ გავიდოდა ისე, რომ ხან დედას, ხან მამას გიგოზე ლაპარაკი არ ჩამოეგდო და ხან გაჯავრებით, ხან დაყვავებით ურჩევდნენ, ბედი არ დაეკარგა და თავისთავიცა და დედ-მამაც არ გაეუბედურებინა.

— დედა, რავქნა, მეჯავრება, იმას რომ წარმოვიდგენ, როგორ მაჭხვევა, კოცნას როგორ დამიწყებს... ბრრრ...—გაიძიგინებდა ლიზას და მეორე ოთახში გავარდებოდა ხოლმე. მაგრამ გავიდა ერთი წელიწადი, გიგო არ ეშვებოდა, ლიზას სატრფო აფიცერი სადღაც შორს გადიყვანეს და თვითონაც არ იცის, რად და რანაირად გიგოს ცოლობაზე დასთანხმდა.

ფანჯარაში მდგომს ლიზას წარმოუდგა ეს დრო და თავისთავი ზიზღით მოიგონა: რა სულელი ვიყავი მაშინ. ახლა ის ცოლია ჭკვიანის, განათლებულისა და ნასწავლი ექიმისა, რომელსაც დიდებული მომავალი მოელის. ის თაყვანსა სცემს ქმარს და ადამიანს არ უდრის. უყვარს და ამაყობს, თავის თავს მის ცოლობის ღირსად არა სთვლის. სხვა რომ ყოფილიყო, განა აპატიებდა ლიზას მის საქციელს? განა ყოველდღე არ მოაგონებდა იმ დროს, როდესაც ლიზა ზიზღით უყურებდა იმას და ლაპარაკის ღირსადაც არ ხდიდა? გიგომ კი ერთხელვე უთხრა: „მაშინ შენ სულელი იყავი, ადამიანის ცნობა არ იცოდი, არ შეგეძლო ავი კარგიდან გაგერჩია და იმიტომ მე შენ არ გამტყუნებ! ეს ასეც უნდა ყოფილიყო“. უთხრა ეს და მასუკან აღარც უსაყვედურნია.

მათ იწყეს მშვიდობიანი ცხოვრება. ლიზა დაემორჩილა გიგოს, გაიბაბა როგორც კურდღელი მწევარის კლანჭებში. გიგო მთელ თავისუფალ დროს ლიზას დარიგებასა და განათლებას ანდომებდა. აფასებდა და პატივს სცემდა, ვისაც გიგო სწყალობდა, ლიზასაც ის უყვარდა, ლაპარაკობდა მისი სიტყვებით, ფრაზებით და ქმრის მიბაძვასაც კი სცდილობდა. გიგოს კი ცოლი უყვარდა ისე, როგორც ზოგიერთ ადამიანს ერთგული მოსიყვარულე ფინია,—რომელიც ოდნავ დაყვავებაზე და ალერსზე მთლად გადირევა ხოლმე და უნდა პატრონს თავზე დაახტეს, გაჯავრებაზე კი იკუნტება, ცახცახს იწყობს და გათახსირებული, შეშინებული ტახტ-ქვეშ ძვრება.

დღეს გიგო დაჰპირდა კრებაზე წაგიყვანო და ისიც, მორთულ-მოკაზმული, ქმრის გაღვიძებას მოუთმენლად ელოდა.

ოთახში კარგად ჩამობნელდა. კარებში აჩქარებულის ნაბიჯით შემოვიდა ლიზას დედა და, შვილი რომ დაინახა, შლიაპა მოიხადა, სავარძელში ჩაჯდა და ჰკითხა:

— ბავშვები სად არიან?

— დედაკაცმა წაიყვანა სასეირნოდ.—უპასუხა ლიზამ.

— გიგო?

— გიგო ჯერ არ ამდგარა.

— შენ რაღას მორთულხარ?

— კრებაზე მივდივარ!

— ჯერაც არსად წასულხართ!—უსიამოვნოდ წარმოსთქვა დედამ და სახე გვერდზე მიიღო.

— რად იცი, დედა, შენ ეგა! აბა სად დავდივარ, კრებაზე ჩემს დღეში არ ვყოფილვარ.

— შენზე კი არა, შენს ქმარზე ვამბობ. პაციენტები ცოტა ჰყავსო, ცოტა ეყოლება, მაშ რა იქნება, ერთს წამს სახლში არ გაჩერდება.

— დედა, ნუ იცი შენ მაგისთანა ლაპარაკი!.. უცბად გამოტრიალდა ლიზა,—როცა ალექსანდრესაგან დაბრუნდები, უთუოთ გიგოს ლანძღვას უნდა მიჰყო ხოლმე ხელი. გიგო იმას ამბობს საზოგადო მოღვაწეობას „პრაქტიკას“ მსხვერპლად ვერ მოუტან და, მართალიც არის, მთელი დღე და ღამე სახლში რომ იჯდეს, ხომ ერთს საქმეშიაც ველარ გაერევა!

— ოჰოჰო საქმეებში! რა საქმეებშია გარეული?!

— რატომაც არ არის! წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაშია წევრად, დრამატიულ საზოგადოებაში, სახალხო თეატრის გამგეობაში, აქ კრებებს ესწრება, იქ სექციებს და ამდენი დროც აღარა აქვს. ეგ რომ ფულებს გამოჰკიდებოდა,—პატარა ხანს უკან დაუმატა ლიზამ—უნივერსიტეტში სტოვებდნენ და იქ დარჩებოდა, მაგრამ...

— იჰ, ვინ იცის ახლა, სტოვებდნენ?!—გააწყვეტინა სიტყვა დედამ, შლიაპას ხელი წამოავლო და მეორე ოთახში ისე გავიდა, რომ შვილმა პასუხის მიცემა ველარ მოასწრო.

ლიზა აღელვებული და შეურაცხყოფილი ერთ ალაგს გაშეშდა. მას უნდოდა გამოჰკიდებოდა დედას, ეყვირნა, რომ გიგო თავის დღეში ტყუილს არ იტყვის, რომ გიგოს ნათქვამზე ეჭვის მიტანა ბოროტმოქმედობაა, მაგრამ ერთ ალაგს იდგა და იმ კარებს მისჩერებოდა, სადაც დედა გავიდა.

ამ დროს გაიღო საწოლ ოთახის კარები და გიგო ჩაცმული და პირ-დაბანილი დარბაზში გამოვიდა, ცოლი აათვალ-ჩაათვალიერა და მხიარულის კილოთი ჰკითხა.

— გეტყობა, გიხარიან კრებაზე წასვლა, ძალიან გამოწყობილხარ.

— მიხარიან მაშ, დიდს კრებები ჩემს დღეში არა ვყოფილვარ!—აღტაცებით უპასუხა ლიზამ.

— მერე ვისი ბრალია?

— როდის გითქვამს, დღეს პირველად მითხარი.

გიგოს სახე მოეღრუბლა, თვალები, აათამაშა და სახის ჩვეულებრივი გამომეტყველება მიიღო.

— იმიტომ არ მითქვამს, რომ კრებებზე დასწრების შესახებ შენში სურვილს ვეძიებდი და ვერ ვპოვებდი.

ლიზამ ჯერ ვერ გაიგო ეს სიტყვები, ბოლოს ჩაუფიქრდა, მიხვდა, მაგრამ ხმა არ ამოუღია, გაწითლდა და თავი დახარა.

— მე ყოველთვის ქალის ემანსიპაციის მომხრე გიყავი და ვარ კიდეც.—განაგრძო გიგომ-და ვცდილობდი ჩემი შენაძენი ცოდნა შენთვის გადმომეცა, მე მგონი ჩემს მიზანს მივაღწიე, ახლა შენ შეგიძლიან თამამად გაერიო ხალხში, რადგან მე სრული იმედი მაქვს, აღარ შემარცხვენ. მე არაოდეს წინააღმდეგი არ ვყოფილვარ..

ლიზას იმა ქმრის სიტყვები, ყელზე ხელები შემოჰხვია და მხიარულად უთხრა:

— მაპატიე, მე ასე მეგონა, შენ წინააღმდეგი იყავი ამისა. გახსოვს, შენ ერთხელ მითხარი, ქალის დანიშნულება მარტო შვილების მოვლა-აღზრდააო, მეც ასე მეგონა...

ლიზას სიტყვა აღარ დაუთავებია, რადგან გიგომ მისი ხელები კისრიდან მწრფელად მოიშორა და ცოლს უკმეხად შეხედა.

— მე მაგ სისულელეს არ ვიტყოდი, გესმის-არ ვიტყოდი!..

ლიზა გაოცდა, საცოდავად მოიკუნტა. ქმრის ამგვარი გაჯავრება ვერაფრით ვერ აეხსნა. იმას კარგად ახსოვდა ქმრის სიტყვები და იმიტომ მოაგონა. ახლა რაზე გაჯავრდა? ალბად სხვა რამეზე მითხრა,—სინანულით გაიფიქრა ლიზამ.

— ალბად მაშინ ვერ გაკიგე შენი სიტყვები, მაპატიე,—დამნაშავესავით სთქვა ლიზამ და კრძალვით მიუახლოვდა და ხელები ისევ კისერზე მოხვია—კარგია ნუ გამიჯავრდები. სისულელე რომ ვსთქვა, კი არ უნდა გამიჯავრდე, დაყვავებით უნდა მითხრა ხოლმე... გიგო, დღეს კრებაზე ილაპარაკებ?—სიყვარულით ჩაეკითხა ქმარს. მაგრამ შეატყო, რომ ქმარს კიდევ რაღაც აწყენინა. და ხელები უკან წაიღო,—სულელს ნუ დამიძახებო!

— როგორ არ დაგიძახო, როდესაც ღირსი ხარ ხოლმე. აბა რომ მეკითხები, კრებაზე ილაპარაკებ თუ არაო, როგორ გითხრა, რა ვიცი, ვილაპარაკებ თუ არა, თუ საგანი მოითხოვს ვილაპარაკებ, არა და, აბა წინდაწინ როგორ გითხრა?

— უჰ, უჰ, მაპატიე, მაპატიე, აღარაფერს ვიტყვი, აღარაფერს გკითხავ..—გაატატანა ხელები ლიზამ და სასოწარკვეთილი ტახტზე დაეშვა.—ღმერთო, რა სულელი ვარ!

ქმარი არ ეშვებოდა,

— მაპატიე, მაპატიეო!, დანაშაულობა კი არა ჩაგიდენია-რა, რომ გაპატიო, მე მხოლოდ მინდა, რომ წინდაუხედავად სიტყვები არ წამოისროლო ხოლმე—წარმოსთქვა გიგომ და, თავის თავის კმაყოფილმა, ცოტა ხანს უკან მედიდურად დაუმატა.

— აბა, წავიდეთ, თორემ დაგვიგვიანდება.

ნახევარ საათის შემდეგ ლიზა და გიგო დიდ განათებულს დარბაზს უახლოვდებოდნენ. დარბაზის წინ ხალხი ბუზივით ირეოდა და განუწყვეტელი გუგუნი ისმოდა.

ისინი ძლივს არღვევდნენ გზას, ალაგ-ალაგ შეკრებილს ხალხს მხარს უქცევდნენ და სცდილობდნენ თავისუფალს ადგილს გასულიყვნენ. გიგო მარჯვნივ და მარცხნივ უკრავდა თავს, ზოგს ხელს ართმევდა და მოღუშულის სახით ცოლს უკან მისდევდა.

ლიზამ როგორც იყო თავისუფალი ადგილი იპოვნა ერთს კედლის ძირას, შეჩერდა, სული მოითქვა და შეშინებულის თვალებით ხალხს გადახედა. ლიზა პირველად იყო ამ გვარ მრავალრიცხოვან კრებაზე. ის გააოცა იმ გარემოებამ, რომ თუმცა კრებაზე ბევრი ქალი იყო და ზოგს მამაკაცებიც ელაპარაკებოდნენ, მაგრამ აქ ქალს ის ადგილი არ ეჭირა, რაც უჭირავს მას სადმე სტუმრად, თეატრში, ან რომელიმე წვეულებაში. მამაკაცებს ეჭირათ თავი მათ წინაშე ზრდილობიანად, მაგრამ ცივად და ისევ მამაკაცებთან ამჯობინებდნენ ბაასს. ესენი დადიოდნენ დინჯად და სახეზე ზრუნვა და ღრმა ფიქრები აღბეჭდვოდათ.

დარბაზის ბოლოში იდგა რამდენიმე მაგიდა, ერთი მათგანი გრძელი, წითელ მაუდით გადაფარებული, რომელზედაც მწყობრისად ელაგა საწერკალამი, რამდენიმე წიგნი, საწერი ქაღალდები და პატარა, თეთრი ზარი. ამ მაგიდას დასტრიალებდა მაღალ-მაღალი, სუფთად ჩაცმული, მედიდურის სახის კაცი და დარბაისლურად ელაპარაკებოდა ყველას, ვინც კი მასთან მივიდოდა.

ლიზამ უძლურობა, არარაობა იგრძნო და იქვე, კუთხეში, სკამზე დაეშვა. სამაგიეროდ მის თვალში გიგო ამაღლდა, გიგანტად იქცა და ლიზა ქმარსადმი მეტის პატივისცემით, მეტის სიყვარულით გაიმსჭვალა. ამ მედიდურ სახის კაცებს, ამ წარჩინებულს პირებს, ამ გენერლებს ყველას იცნობს გიგო, ყველასთან თანასწორია, ყველას მეგობრულად ექცევა,—ჰფიქრობდა ლიზა—პატივსა სცემენ, უცინიან, ლაპარაკს გულდასმით უსმენენ, მის აზრს მათ თვალში ფასი აქვს—ხარობდა გულში ლიზა და თვალებით ეძებდა ქმარს, რომელმაც შესვლისათანავე თავი მიანება და ხალხში შეერია.

ხალხის გუგუნი თანდათან შესწყდა, ყველამ თავთავის ადგილი დაიჭირა და ზარის პირველ დარეკვაზევე უცბად სიჩუმე ჩამოვარდა.

თავმჯდომარემ პატარა ხანს კიდევ მოუცადა, სანამ სრული სიჩუმე ჩამოვარდებოდა, შემდეგ ადგილიდან ზარმაცად წამოიწია და ნელის ხმით საზოგადოებას მიმართა.

რებელ მუშას საარჩევნო კენჭი არ ეძლევა. ლიბერალურმა პარტიამ სამი კვირის წინად პარტიული კონგრესი მოახდინა სტოკჰოლმში და საარჩევნო პროგრამა დაამტკიცა. ამ პროგრამას საფუძვლად საყოველთაო საარჩევნო უფლება უძევს. დანარჩენი მუხლები პროგრამისა შეეხება სოციალურ კანონმდებლობას (პენსია მუშებისთვის, სამუშაო დღის შემცირება და სამედიატორო სასამართლო შრომისა და კაპიტალის ბრძოლის დროს). გარდა ამისა ლიბერალები თხოულობენ ზემო პალატის რეორგანიზაციას, სამხედრო ხარჯის შემცირებას და სხ.

ლიბერალებს იმედი აქვთ, რომ სოციალისტები თავიანთ კენჭს ლიბერალ კანდიდატებს მისცემენ იმ ოლქებში, სადაც მათი კანდიდატის არჩევა შეუძლებელი იქნება. ახლანდელი სამინისტრო სხვადასხვა მიმართულების მინისტრებისგან არის შედგენილი, რაიც შვეცია-ნორვეგიის უნიის მოსპობის საკითხის განხილვის დროს დამტკიცდა: ზოგი მინისტრი უნიის მოსპობის მომხრე იყო, ზოგი წინააღმდეგი. ლიბერალებს იმის იმედი აქვთ და დარწმუნებულნი არიან, რომ სამინისტრო მათ ჩაუვარდებათ ხელში.

რეფორმები რუსეთში

შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ შემუშავებული **კანონ-პროექტი კრებების შესახებ** გადაეცა გრაფ სოლსკის კომისიას, რომელმაც განიხილა და ზოგიერთი ცვლილება მოახდინა. კანონ-პროექტის ძალით კრებების გამართვის ნება მხოლოდ ქალაქელებს ეძლევათ, ისიც პოლიციის დასწრებით (ს.).

✦ აღმოსავლეთ ციმბირში **ერობის შემოღება** ჩვეულებრივ ბიუროკრატიულ წეს-რიგით მიდის. ადმინისტრაციამ სხვადასხვა დაწესებულებებს სტატისტიკური ცნობები მოსთხოვა და დებულებას თვითონ ადგენს. მართალია, ციმბირის საზოგადოებამ თვითონ შეადგინა საერობო დებულების პროექტი და ადმინისტრაციას წარუდგინა, მაგრამ იმან ეს პროექტი ნაგვის კალათაში გადააგდო (ნ. ქ.).

✦ დღემდის საზღვაო სასწავლებლებში შესვლის უფლება ეძლეოდათ მხოლოდ თავად აზნაურებს. ახლა კი, როცა პორტ-არტურმა და ცუსიმამ დაამტკიცეს თავად-აზნაურთა ნიჭი, **საზღვაო სამინისტრომ პოლიტიკა გამოიცვალა** და პრინციპიალურად გადასწყვიტა საზღვაო სასწავლებლებში სწავლის ნება სხვა წოდებასაც მისცენ. ჯერ-ჯერობით ახალი სიო მხოლოდ კრონშტადის საზღვაო-საინჟენერო სასწავლებელში შეუშვეს. ახალმა საზღვაო მინისტრმა ბირილოვმა სახელმწიფო საბჭოში პროექტი შეიტანა და ითხოვა, საზღვაო სასწავლებელში ყველას მიეცით სწავლის ნებაო (რ. ვ.).

✦ შინაგან საქმეთა სამინისტრომ დაამთავრა **პროექტი მთელ რუსეთში ერობის შემოღებისა.** ამ პროექტს შემოდგომაზე სახელმწიფო საბჭო განიხილავს (რ. ვ.).

✦ პეტერბურგსა და მოსკოვში ხმა გავარდა, ვითომ „ზოგიერთა მოულოდნელ მიზეზებისა გამო“ სახელმწიფო **სათათბიროს მოწვევა ერთის წლით გადაიდოვო** (ს. ო.).

დეპეშა

(საკუთარ კორესპონდენტისაგან).

გორი, 27 აგვისტო. დღეს, ნაშუადღევის ხუთ საათზე, გარდაიცვალა გენერალ-ადიუტანტი თავ. ი. გ. ამილახვარი.

პეტერბურგი, 25 აგვისტო. „სლოვო“ იუწყება: ნავთის მწარმოებელთა წერილი ბაქოს მდგომარეობის შესახებ ფინანსთა მინისტრმა კავკასიის ნამესტნიკს **წარუდგინა**: ნავთის მწარმოებელნი ამშვიდებენ ხალხს იმითი, რომ ჩრდილოეთის რაიონი მთელის ზამთრისთვის ნავთით უზრუნველყოფილიაო.

„ნოვოე ვრემია“ ამბობს: ფინანსთა სამინისტრო იხილავს საკითხს იმის შესახებ, რომ კრიზისის გამო ხმარებაში მაზუთის მაგიერ ნახშირი იქმნას შემოღებულიო.

ახალი ამბავი

✦ კავკასიის ნამესტნიკის **საბჭომ უკვე გაანაწილა** გუბერნიებზე წარმომადგენელთა რაოდენობა სახელმწიფო სათათბიროში გასაგზავნად: ბაქოს გუბერნიიდან დანიშნული იქნა 3 წარმომადგენელი, ტფილისის გუბ. 3, განჯის გუბ. 3, ერევნის გუბ. 3, ქუთაისის გუბ. 3, სოხუმის ოლქ. 1, ყარსის ოლქ. 1, შავიზღვისა—1, ბათომისა—1, ზაქათალისა—1, ყუბანისა—5, თერგისა—2 და დაღესტნისა—2.

✦ როგორც ნამდვილად შევიტყეთ, მომავალ წლიდან **ტფილისში არსდება გრადონაჩალნიკობა.** გრადონაჩალნიკად ინიშნება გენერალი სტახოვიჩი. გრადონაჩალნიკს ეყოლება თანაშემწე და პოლიცმეისტერი, ხოლო პოლიცმეისტრის თანაშემწის თანამდებობა უქმდება.

✦ უწმ. სინოდისაგან საქართველოს ექსარხოსმა ოფიციალური ცნობა მიიღო, რომ მომავალ წელს **რუსეთში მსოფლიო კრება** უნდა მოხდესო (вселенскій соборъ). განზრახულია მთელ რუსეთის იმპერიაში საეკლესიო ოლქების დაარსება. ოლქების დასაარსებლად უნდა კომისიები შესდგეს სხვადასხვა საეკლესიო საქმის ცალკე შესამუშავებლად. ამ მოწერილობის თანახმად, საქართველოს ექსარხოსმა საქართველოს საეკლესიო ოლქის დასაარსებლად შეადგინა ოთხი კომისია. კომისიებს ჩაბარდათ შემდეგი საქმეები: ორგანიზაცია სამრევლოებისა, ორგანიზაცია დაწესებულებათა მმართებლობისა, ორგანიზაცია სასულიერო სასწავლებლებისა და სამრევლო სკოლებისა. ამ ოთხ კომისიის თავმჯდომარეები თვითონ ექსარხოსმა უკვე დანიშნა, ხოლო თავმჯდომარეები ამ კომისიაში მოიწვევენ იმათ, ვისაც საჭიროდ სცნობენ. მთელი მასალა საქართველოს საეკლესიო ოლქის დაარსების შესახებ ექსარხოსმა სინოდში დეკემბრისთვის უნდა წარადგინოს.

✦ როგორც სალიანიდან **დეპეშით გვატყობინებენ**, თევზის მრეწველთა საზოგადოებას და სხვა ქარხნებს თავს დასხმია შეიარაღებულ თათართა ბრბო და დიდი ზარალი მიუყენებია.

✦ ბაქოს საშუალო ტეხნიკურ სასწავლებლის დირექტორისაგან **კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველმა შემდეგი დეპეშა მიიღო:** „უკიდურესს მდგომარეობაში ვართ, შიმშილით ვიხოცებით. დიდის გაჭირვებით ვშოულობთ პურსა და წყალს გემუდარებით გამოგვიგზავნეთ ყველი და კალბასი.

✦ ბაქოში მომხდარ არეულობის გამო, ამიერ-კავკასიის რკინის გზების უფროსმა დეპეშით აცნობა ყველა სადგურების უფროსთ, **ბაქოსა და ბაქოს იქით ადგილებში გასაგზავნ საქონელს ნუღარ მიიღებთო.**

✦ **ბაქოდან გაზეთ „არშალუისს“ დეპეშით სწერენ:** შერიგებას ეცადნენ, მაგრამ ვერას გახდნენ. ნაბრძანებია, არ დაზოგონ სოფლიდან ჩამოსული მაჰმადიანები. არტილერია მოქმედობს. ნავთის მწარმოებელნი თხოულობენ სოფლელ-მაჰმადიანების ქალაქიდან გაძევებას, დანარჩენების იარაღის აყრას, მილიციის დაარსების ნებადართვას. საშინელი მდგომარეობაა. იმედი სრულიად დავკარგეთ“.

✦ **„ნოვ. ობოზრ“. ატყობინებენ:** ბალახანა მთლად გადამწვარია, ბიბი-ეიბათს ცეცხლი უკიდია. ქალაქშიაც შენობებს ცეცხლი უკიდია. ზარალი რამდენიმე ასი მილიონისაა. ათასობით მუშა ულუკმა-პუროდ დარჩა. საქმე ძალიან გამწვავდა. ქალაქში სიცოცხლე აღარ მოძრაობს. მცხოვრებლები თავ-ზარ-დაცემულნი გარბიან.

✦ რადგან ბაქოში მომხდარ არეულობის გამო ნავთის წარმოება დაეცა, ფინანსთა სამინისტროში **ირჩევა საკითხი** იმის შესახებ, რომ ნავთის მწარმოებელთ, გადასახადების შეტანის დროს, დიდი შეღავათი მიეცეთ.

✦ რკინის გზის ტფილისის **საქონლის სადგურის მუშები** დღემდე არ მუშაობენ და იმათ ნაცვლად საქმეს აკეთებენ სხვადასხვა ადგილიდან დაბარებული მუშები და ჯარი. ეს ორასი დათხოვნილი მუშა დიდს გაჭირვებაში ჩავარდა. ესენი იმასვე თხოულობენ, რაც რკინის გზამ ბათომის და ფოთის დამტვირთველ მუშებს აუსრულა.

✦ კნ. ე. **ბაგრატიონ-მუხრანსკის დილმის მამულის მოიჯარადრეებს**, თავ. ნიჟარაძეებს, მთავრობისათვის განუცხადებიათ: დილმის გლეხობამ საიჯარო მამულზე, რომელშიაც 7,000 მანეთს ვიხდიდით, ხელი აგვაღებინა; ამასთან გლეხობამ გადაგვიწვა 900 მანათის თივაო. ნამესტნიკის კანცელარიის განკარგულებით, ეს განცხადება გადაეცა იმ სამაზრო კომისიას, რომელმაც უნდა გამოიკვლიოს მემამულეთა ზარალი გლეხთა მოძრაობისაგან.

✦ პარასკევს, ღამის 1 საათზე, ქალაქის საბჭომ ხალხის დაუსწრებლად საერობო დაწესებულებათა პროექტის განსახილველად სათათბიროში **წარმომადგენლებად აირჩია ხმოსნები**: თავ. ა. მ. არღუთინსკი-დოლგორუკოვი, თავ. გ. თუმანოვი, მ. ნ. ვესელოვზოროვი, ნ. ნ. ოსტროგორსკი, თავ. ვ. ნ. ჩერქეზიშვილი და ა. ნ. ფურცელაძე.

✦ გუშინწინ სხდომა ჰქონდა სათავად-აზნაურო კომისიას, რომელიც სტიპენდიას ანაწილებს. **კომისიამ დაადგინა** მისცეთ სტიპენდიატებს ორის თვის სტიპენდია—ივლისისა და აგვისტოსი სასწავლებლებში წასასვლელად. სხვა საგნები კომისიას არ განუხილავს, რადგანაც, ვიდრე გუბერნიის მარშალი პასუხს არ მიიღებს იმ ორი ათასი თუმნის შესახებ, რომლის გამო თანახმად სავანგებო კრების დადგენილებისა უკვე შუამდგომლობაა აღძრული მთავრობის მიმართ, კომისია ვერ გადასწყვეტავს—შეიძლება ახალ სტიპენდიანტების მიღება თუ არა.

✦ როგორც გავიგეთ, წელს თავად-აზნაურობას, უქონლობისა გამო, როდი აქვს გადადებული ფული საშუალო **სასწავლებლებში მოსწავლეთათვის დასახმარად**, ასე რომ არც ერთი თხოვნა არ იქმნება დაკმაყოფილებული. ასევე მდგომარეობაში არიან ის კერძო მთხოვნელები და საზოგადო დაწესებულებანი, რომელთაც თავად-აზნაურობას დახმარებისათვის მიმართეს.

✦ **წელს სამხედრო სამსახურში წაიყვანენ** ქ. ტფილისიდან 253 კაცს, ტფილისის მაზრიდან 288, ახალქალაქის მაზრიდან 114, ახალციხიდან 168, ბორჩალოდან 457, გორის მაზრიდან 832, დუშეთიდან 273, სიღნაღის მაზრიდან ზაქათალის ოლქით 426, თელავის მაზრიდან 255, თიანეთიდან 109 —სულ 3402 კაცს.

✦ **თიანეთის მაზრაში წელს კენჭის ამოღება** სამხედრო სამსახურისთვის დაიწყება პირველ ენკენისთვიდან, დანარჩენ მაზრებში 15 ღვინობისთვიდან.

✦ უმაღლესის ბრძანებით, თანახმად მინისტრთა კომიტეტის დადგენილებისა, ქუთაისის მაზრის **სამიკაფის სოფლის საზოგადოება სენაკის მაზრას მიეწერა**, ხოლო სენაკის მაზრის ილორის საზოგადოება—ქუთაისისას.

✦ ამ დღეებში თავ. დ. ზ. მელიქიშვილის მამულში **გაემგზავრება ინჟენერთა ერთი ჯგუფი** რკინის გზისთვის ადგილების დასათვალიერებლად. რკინის გზა დაიწყება სადგურ ახტალადან.

✦ კავკასიის ნამესტნიკის თანაშემწემ სულთან-კრიმ-გირეიმ ჟურნალ „კავკასკი ვესტნიკის“ მეორე **რედაქტორად დაამტკიცა რუბენ აბგარის ძე იონისიანი.**

✦ ის ცნობა, ვითომ პ. ი. ყიფიანი ქუთაისის მაზრის უფროსად ინიშნებოდეს, არ მართლდება. როგორც „ნოვ. ობ.“-ს გაუგია, პ. ყიფიანი **ქუთაისის გუბერნატორის განკარგულებაში იქმნება.**

✦ „ტფ. ლისტ.“ ამ დღეებში დაბეჭდილი იყო, რომ ტფილისის სადგურის უფროსის ტერპელოვსკის მოკვლა ბრალდება მის თანაშემწედ ეფიმ ჩაქოვანს, რომელიც უკვე შეიპყრესო. ახლა გაზეთი **უარ-ჰყოფს ამ ცნობას** და აცხადებს არც ანტონ ჩაქოვანა, არც მისი ძმა კალისტრატე დაჭერილები არ არიანო.

✦ სომხთა დეპუტაცია ამ დღეებში მიემგზავრება სადგურ ბალაჯარაზე სპარსეთის შაჰის დასახვედრად. დეპუტაციამ შაჰს უნდა სთხოვოს მფარველობა გაუწიოს სპარსეთში დასახლებულ სომხებს.

✦ ინგლისურ გაზეთების კორესპონდენტმა გორდონბრაუნმა, რომელიც შუშაში იყო წასული, დაწვრილებითი ცნობები შეჰკრიბა იქ მომხდარ არეულობის შესახებ და ტფილისში დაბრუნდა. ბ-ნი კორესპონდენტი ცნობებს ჰკრებავს აგრეთვე ბაქოს, ნახიჩევანსა და სხვა ადგილებში მომხდარ ხოცვის შესახებაც.

✦ გაზ. „მშაკს“ ატყობინებენ ქ. შუშიდან, რომ **ამარასის** მონასტერი სრულიად გაძარცვულია. სომხების ამოსაჟლეტად სპარსეთიდან არაქსზე გადმოსულან შეიარაღებული თათრები.

✦ ყიზილ-არვატიდან გაზ. „მშაკს“ შემდეგ ამბავს ატყობინებენ. დღეს, საღამოს 7 საათზე კომაროვის ქუჩაზე, ერთ სასტუმროს ეზოში ყუმბარა გასკდა. ყუმბარა ხელიდან გავარდნია ერთ მუშას, რომელიც იქვე მომკვდარა, ორი სხვა მუშაც დაშავებულა. პოლიციას იქვე უპოვია ერთი მთელი ყუმბარა.

✦ ტფილისის გუბერნატორმა ნება დართო ქალაქის მოურავს 200 ათას მანათის სესხის აღებისა. ეს ვალი ქალაქმა 3 წელს უნდა გადაიხადოს.

✦ ქალაქის მოურავმა გუბერნატორის წინაშე საჩივარი აღძრა საინჟენერო უწყებაზე იმის გამო, რომ 1877 წლიდან შენობებზე დარჩენილი დასაფასებელი გადასახადი ამ უწყებას არ გადაუხდია.

სადღეისო

აუტანელი მდგომარეობა

(ერთი კაცის დღიურის მეთორმეტე ფურცელი).

აუტანელი მდგომარეობაა! თავისუფლად სული ვერსად მომითქვამს.

თითქოს სამშობლოს ჰაერიც კი გამოიცვალა, მთამ და ტყემ, ველმა და მინდორმა, ზღვამ და მდინარემ ძველებური ელფერი დაჰკარგა.

ასე მგონია ჰაერი გაჟღენთილია—მეთქი—უხილავის ნივთიერებით. საცაა ცა მოიღრუბლება, დაიქუხებს, პირიდან ცეცხლებს დააკვესებს, თავზე დაგვანგრევს მთასა და ბარს...

აუტანელი მდგომარეობაა!..

მარტოობისა მეშინიან. ვეძებ ტოლს, ამხანაგს, მინდა იმათაც გავუზიარო ჩემი დარდი: შველა, გამხნევება ვსთხოვო.

ამხანაგები კი გამირბიან, მერიდებიან. მე იმათი არა მესმის-რა, იმათ ჩემი.

ასეა, ავდრის მოლოდინში ყველა თავის ბინას მიაშურებს ხოლმე.

ვზივარ მარტოკა ჩემ ფანჯარაში და ძრწოლით შევყურებ მოქურუშებულ ცას... მომეზრდა მისი მზერაც..., თუ ქუხილს აპირებს, ბარემ მალე დაიქუხოს. იქნება მზემ გამოანათოს, სულის სიმშვიდე დამიბრუნოს...

აუტანელი მდგომარეობაა!

მინდა დავწერო რამე, გული მოვიოხო, ბოღმა გავიქარვო. ვიღებ ხელში კალამს და...

— სულ ერთია, წაგიშლიო!—მეჩურჩულება ცენზორის აჩრდილი.

— სულ ერთია, ტყავს გაგაძრობო!—უხილავად დამხითხითებს ჩვენებური კრიტიკოსი.

— სულ ერთია, გაზეთში ადგილი არა მყოფნისო,—მესმის რედაქტორის ხმა.

— სულ ერთია, არ წავიკითხავო,—მებუზღუნება ჩვენი ინტელიგენციაც.

აუტანელი მდგომარეობაა!

ლიზამ მიუგდო ყური, უნდოდა გაეგო, რას იტყოდა ეს მედიდური კაცი, რომელიც საზოგადოებას სათავეში უდგა, მაგრამ ვერაფერი გაარჩია. საკვირველი იყო! რუსული ლიზამ კარგად იცოდა, თავმჯდომარეც რუსულად ლაპარაკობდა, ყოველი მისი სიტყვა ცალკე ესმოდა, იცოდა რასაც ნიშნავდა, მაგრამ ლიზა საერთო აზრს ვერ მიუხვდა.

თავმჯდომარე ისევ სავარძელში ჩაჯდა. აქაიქ სკამებიდან სიტყვის თქმის ნება მოითხოვეს. კამათი დაიწყო. ზოგი ნელის ხმით ლაპარაკობდა, ზოგი ჰყვიროდა, ერთი-ერთმანეთს უპასუხებდნენ, ერთიერთმანეთის გვარებს ასახელებდნენ, ფეხზე წამოდგომით საგნებს კენჭს უყრიდნენ. და ლაპარაკს დასასრული არა ჰქონდა.

დარბაზი დაცხრა, მძიმე ჰაერი დატრიალდა, სახე ყველას აელეწა და გაუოფლიანდა. ლიზა იჯდა თავის ალაგას განცვიფრებული. ის თითქოს გამოურკვეველ სიზმარში იყო. თითქოს მისთვის გაუგებარ ენაზე ლაპარაკობენო, ვერ გაეგო, რა საგანზე იყო კამათი და არ იცოდა ამ დაუსრულებელ სიტყვებიდან, ამ გაცხარებულ კამათიდან რა დასკვნა გამოეყვანა და ვინ გაემტყუნებინა, ან ვინ გაემართლებინა. ლიზა იტანჯებოდა. შიშით აქეთ-იქით იყურებოდა და თითქმის ხმა-მაღლა ბურტყუნებდა: ღმერთო, რა უბედური ვარ, ყველა აქ მყოფთ ესმით ყველაფერი, რაც აქ ხდება, ერთმანეთს აზრებს უზიარებენ, კამათობენ, თითქმის ჩხუბობენ კიდეც, მე კი, მე კი... ამბობდა ლიზა და თვალებით ქმარს ეძებდა.—რა ბედნიერია გიგო, მისთვის ხომ ეს ანბანია, როგორც ჩემთვის უბრალო, ჩვეულებრივი მუსაიფი, რომელსაც მე ავსა და კარგს კარგად ვარჩევ და შემიძლიან ბევრი ჩემს აზრზე დავითანხმო.—ამ ფიქრებში გართულ ლიზას უცბად ტუჩები გაუფითრდა, ტანში ჟრუანტელმა გაუარა და გული მიელია: მისი ქმარი, გიგო სკამიდან წამოდგა და სიტყვის თქმის ნება მოითხოვა.

ლიზას კინაღამ გული არ შეუწუხდა. დარწმუნებული იყო, რომ გიგო ყველას დასძლევდა, ისეთს რასმეს იტყოდა, რომ ყველას გააკვირვებდა და აღტაცებით დაითანხმებდა, მაგრამ გულში რაღაც უნებური შიში დაებადა და, როდესაც გიგომ ლაპარაკი დაიწყო, საღი გონება მთლად დაკარგა.

გიგოს პირველ სიტყვებზევე მომეტებული ნაწილი საზოგადოებისა წამოიშალა და სკამების რახა-რუხით და ხუმრობით დერეფნისაკენ გაემართა. გიგოს სიტყვები აღარ ისმოდა. თავმჯდომარე ზარსა რეკდა და საზოგადოებისაგან დაწყნარებას თხოულობდა, გიგო იძულებული გახდა გაჩუმებულიყო, სანამ ხალხი დამშვიდდებოდა.

ამ გარემოებამ ლიზა უსიამოვნოდ გააოცა, გულში რაღაცამ უჩხვლიტა. წინად შეამჩნია, რომ ზოგიერთ მოლაპარაკეს გულდასმით უგდებდნენ ყურს, ზოგს კი ყურს არ უგდებდნენ, სიტყვას აწყვეტინებდნენ და საზოგადოდ ლაპარაკს უშლიდნენ.

საზოგადოება, როგორც იყო, დამშვიდდა და გიგომაც ლაპარაკი განაგრძო.—ალბად ხალხი დაიღალა, დასცხა—გაიფიქრა ლიზამ და ისიც დამშვიდდა, მაგრამ უცბად შეკრთა: იქვე, იმის გვერდით, ვიღაცა შავ-წვერ-ულვაშა სერთუკსანმა სკამიდან წამოიწია და ხმამაღლა სთქვა: „ოოო, დაიწყებს ახლა სისულელეს და აღარც გაათავებს“. ამ სიტყვებით, ვითომც აქ არაფერიაო, კარებისკენ გაემართა.

ლიზა აინთო, ალაგიდან წამოიწია... გიგოს გამკიცხავისადმი სიძულვილი იგრძნო.

გიგო წითლდებოდა, სიტყვებს ღეჭავდა ერთ და იგივეს რამდენჯერმე იმეორებდა და ხელებს უცნაურად აფათურებდა.—სახლში ასე არ ლაპარაკობს!—გაიფიქრა ლიზამ და თანდათან შიში იცავდა.

გიგოს ახლა აღარც თავმჯდომარე უგდებდა ყურს. ყარანდაში აელო ხელში და სუფთა ქაღალდზე რაღასაც ხატავდა. გიგომ კი ხმას თანდათან უკლო და ხელის ფათურს უმატა—ღმერთო რა ემართება?—ეკითხებოდა თავის თავს ლიზა და ცივ ოფლს ასხამდა.

— გაათავეთ?—უცბად ჰკითხა თავმჯდომარემ გიგოს.

— არა ჯერა!—მიუგო გიგომ და უფრო გაწითლდა.

— მაშ სთქვით, გარკვევით სთქვით, რაც გინდათ! გთხოვთ, ბატონებო, ნუ უშლით ლაპარაკს,—გულ-გრილად წარმოსთქვა თავმჯდომარემ და ისევ ხატვას მიჰყო ხელი.

— საგანზე ილაპარაკეთ, ყმაწვილო, საგანზე!—წამოიძახა ვიღაცამ.—რა ძალა ადგია, ერთი კაცმა სთქვას! შემოესმა ლიზას ერთი კუთხიდან.

— გეყოფათ, გაათავეთ!—თავჩაღუნული ამბობდა ერთი ყმაწვილი კაცი.

ლიზა ნემსებზე იჯდა. ერთ კუთხისაკენ რომ მიიხედავდა, მეორე კუთხიდან მოესმოდა უარესი სიტყვები, რომელიც შეურაცხყოფდა, ამცირებდა მის ქმარს, მის გიგოს, რომლის ყოველი სიტყვა მისთვის კანონი არის, და როდესაც ის სახლში ლაპარაკობს, კედლებიც კი ჩუმად უსმენენ. ლიზა აღარ ჯავრობდა. ეხლა მას გული უკვდებოდა, წითლდებოდა და ეს მესედ იმეორებდა: ღმერთო, რა დაემართა, რა დაემართა! ნეტავ, მალე მაინც გაათავებდეს!

გიგო კი არ ათავებდა. ბოლოს თავმჯდომარემ წამოიწია და დინჯად სთქვა:

— ბატონო ჭყუსელიძევ, აგერ მეთორმეტე საათია. გვიანაა, გთხოვთ საგანზე ილაპარაკოთ და მალე გაათაოთ.

— მე გავათავე!—უცნაურად სთქვა გიგომ და და თავის სკამზე დაეშვა.—გაათავეთ?—უცნაურადვე იკითხა თავმჯდომარემ და ვიღაცა ქაღარა-შერთულ კაცს მიუბრუნდა.

— სიტყვა თქვენ გეკუთვნით, ბატონო.

რამდენიმე წუთის შემდეგ გიგო წამოდგა და თავ-ჩაღუნულმა დერეფანში გასვლა დააპირა, ლიზაც წამოდგა და კარებისკენ გაემართა. დერეფანში ერთმანეთს შეხვდნენ.

— ცხელა, წავიდეთ სახლში!—თავ-აღებით უთხრა ქმარმა ლიზას.

— წავიდეთ!—დამკრთალ კილოთი უპასუხა ლიზამ.

ეტლში ჩასხდნენ და სახლისაკენ გაეშურნენ. არც ლიზას არც გიგოს გზაზე ხმა არ ამოუღიათ. ლიზამ რამდენჯერმე ალმაცერად გადახედა ქმარს, რომელიც წელში მოხრილიყო და ცოლს თვალს არიდებდა. და უცბად იგძნო, რომ მათი ცხოვრება შეირყა, სხვა ელფერი მიიღო, რომ ორივენი ისინი აღარ არიან, რაც იყვნენ...

სვ. ყიფიანი.

ეროვნული საკითხი *).

რა თვალით უნდა უყუროს მუშათა პარტიამ ეროვნულ მიმართულებას?

კაცობრიობის საერთო კულტურა სხვადასხვა ადგილას განსხვავებულ ეროვნულ სახეს იღებს,—ადგილობრივ, განსაკუთრებულ პირობების მიხედვით, ჩნდება ეროვნული სხვადასხვაობა, ორი მეზობელი ერი ებრძვის ერთმანეთს, ებრძვის იმიტომ, რომ ცხოვრების სათავეში სდგას ბურჟუაზია, რომელსაც ახალ ბაზრების მოსაპოვებლად მიაჩნია საჭიროდ ამა თუ იმ ეროვნების დასუსტება, ან გაძლიერება.

რა გზას უნდა დაადგეს მუშათა პარტია? ხელი უნდა შეუწყოს იმათ, ვინც სცდილობს სხვა ეროვნების გადაგვარებას, თუ უნდა განაცხადოს საჯაროდ: თქვენივე ნებით გადაგვარდით, განაცხადეთ უარი თქვენ ეროვნებაზე? ორივე შემთხვევაში იგი ბურჟუაზიულ ნაციონალიზმის მომხრე გამოდგება, ბურჟუაზიის სურვილების აღმასრულებელი.

ჩვენ ამნაირ გზას ვერ დავადგებით, ჩვენ არ შევვიძლიან ჩვენის მოქმედებით ერთი ერის გადაგვარება, მეორესი გაძლიერება.

ჩვენ არ ვიცით, ბოლოს და ბოლოს რომელი ეროვნება შერჩება კაცობრიობას, რომელს მოელება ბოლო არსებობის ბრძოლაში, ჩვენ ვიცით მხოლოდ, რომ ამ ჟამად სხვადასხვა ეროვნება ნამდვილად არსებობს დედამიწაზე და გვინდა, რომ ყოველ ეროვნების გაძლიერება, ან დასუსტება თავის თავად ხდებოდეს, ძალდაუტანებლად.

არ შეიძლება ეროვნულ საკითხზე გული ავიცრუოთ მხოლოდ იმიტომ, რომ მას თავისებურად არკვევს ბურჟუაზია. დიდი შეცდომა არის, როდესაც ამბობენ, რომ პროლეტარიატს არ შეუძლიან ეროვნულ საკითხის გადაწყვეტას პროგრესიული მიმართულება მისცეს და იგი თავის სასარგებლოდ გამოიყენოსო.

ებრძვიან ნაციონალიზმს და ივიწყებენ, რომ ბრძოლა ეროვნულ თავისუფლების მოსაპოვებლად არ არის ნაციონალიზმი. ჩვენ კი ჩვენდა თავად ვაცხადებთ, რომ პროლეტარიატმა, მუშათა კლასმა თავის განმთავისუფლებელ პროგრამაში უნდა შეიტანოს უთუოდ ეროვნული საკითხიც, რომ უნდა ეცადოს ამ საკითხის გადაწყვეტას მისცეს თავისთვის სასურველი მიმართულებაც.

ეროვნული დაჩაგვრა მხოლოდ მუშა კლასს არ ხვდება. სადაც არსებობს ეროვნული დაჩაგვრა, იქ იჩაგრება მთელი ერი, მაგრამ იქაც ამ დაჩაგვრას განსაკუთრებული სიმწვავით გრძნობენ ისინი, ვინც უფრო დაბლა სდგანან საზოგადოებაში,—„დაბალი“ კლასები.

ეროვნული დაჩაგვრა კულტურულ ცხოვრებას გვიხუთავს. ეროვნულ ენის და მწერლობის შევიწროვება მუშა ხალხისთვის განსაკუთრებით საგრძნობელია. მან არ იცის სხვა ენა, იგი სხვა ენაზე დაბეჭდილ გაზეთებს ვერ წაიკითხავს. მისი ენა და მწერლობა,—ერთად-ერთი სარკმელი საიდანაც მას კულტურულ ცხოვრების შუქი მოეფინება,—ეროვნულ დაჩაგვრის დროს, იხურება და მუშა ხალხიც შორდება კულტურულ ცხოვრებას.

გაბატონებული ეროვნება დაჩაგრულ ერის არსებობას ივიწყებს: პროლეტარიატისათვის უცნობ ენაზე კანონებს სცემს, ამავე, მისთვის უცნობ ენაზე, სასამართლოში საქმის წარმოებაა შემოღებული, ამავე ენაზეა მიწერ-მოწერა სხვადასხვა დაწესებულებაში,—მუშა კი სახელმწიფოსა და საზოგადო ცხოვრებას მოწყვეტილია.

ეროვნული დაჩაგვრა სპობს ადამიანის თანასწორობას და დაჩაგრულებში მონურ გრძნობებსაც სთესავს და აძლიერებს.

და მასთან ერთად იგივე დაჩაგვრა სპობს კლასობრივ სხვადასხვაობას: ყველა კლასი თანასწორად გრძნობს საშინელ უღელს, ყველას თანასწორად სურს ჩამოიშოროს იგი და ამის მისადწევად უერთდება ერთმანეთს, დროებით ხელს იღებს შინაურ ბრძოლაზე და ამით აფერხებს პროლეტარიატის კლასიურ განვითარებას...

ვისაც სურს, რომ მოისპოს ყველა ის ძალა, რომელიც აბნელებს მუშა ხალხის კლასიურ შეგნებას, ვისაც უნდა, რომ პროლეტარიატს წინ მხოლოდ მისი კლასიური მიზნები ჰქონდეს დაყენებული, ის ვალდებულია ეცადოს ეროვნულ დაჩაგვრის ჩამოშორებას.

დრო არის,—ეროვნულ საკითხს მეტის ყურადღებით მოეკიდოს სოციალ-დემოკრატია. არავითარი გასამართლებელი საბუთი არა აქვს იმ გულის აცრუებას, რომელსაც იჩენს ამ საკითხის გადაწყვეტაში სოციალ-დემოკრატიის ზოგიერთა წარმომადგენელი. უნდა გვახსოვდეს, რომ ეროვნული საკითხი ადამიანის დაჩაგვრას ეხება, რომ ამიტომ არ შეიძლება მისი გამოკლება იმ პროგრამიდან, რომელიც ითხოვს ყოველგვარ დაჩაგვრის მოსპობას დედამიწაზე.

მართალია, ეროვნულ საკითხს სოციალდემოკრატიულ პროგრამაში სხვა საკითხებზე მეტი ადგილი არ უნდა დაეთმოს, მაგრამ არც სხვებზე ნაკლები. გადამეტება არ ვარგა, მაგრამ მასთან ერთად არ ვარგა საკითხის უყურადღებოდ დაგდებაც.

როგორ იქცევა ამ შემთხვევაში მუშათა პარტიის ზოგიერთა წარმომადგენელი? საქმეს აფუჩეჩებს, სიტყვით უარჰყოფს ბურჟუაზიას და საქმით ბურჟუაზიულ გადაგვარების იდეალს ადგება.

რუსეთში სოციალ-დემოკრატებს შეუძლიანთ ჯერ არ აჩქარდნენ ეროვნულ საკითხზე დაწვრილებით დეკლარაციის გამოცხადებას და იკმარონ პარტიის პრინციპიალური განცხადება, რომ ყოველ ეროვნებას თვითგამორკვევის უფლება ეძლევა: ეს განცხადება ნათლად და გარკვევით გვიჩვენებს, თუ რა თვალით უყურებს პარტია რუსეთში მცხოვრებ სხვადასხვა ეროვნებას, და ჯერ-ჯერობით ესეც საკმარისია—აცხადებს „ზარია“. ეს დაწვრილებითი დეკლარაცია არის ბუნდის მიერ წამოყენებული ეროვნულ ავტონომიის პრინციპი. ამ პრინციპის წამოყენება „მართლმორწმუნე“ სოციალ-დემოკრატიისათვის ნამეტანია, მას საკმარისად მიაჩნია თვითგამორკვევის ხსენება, მას შეუძლია „მოიცადოს“, იგი ეროვნული არ არის.

რა არის ეს თვითგამორკვევა? ამის პასუხს „ისკრაში“ ვკითხულობთ: „თვითგამორკვევის პრინციპი ის არის, რომ ჩვენ, პროლეტარიატი, ყველგან და ყოველთვის უნდა ვიყოთ წინააღმდეგი, თუ სადმე ძალით, ან უსამართლობით სცდილობენ ხალხის თვით გამორკვევა შეზღუდონ“.

აი, ასეთი ყოფილა „ისკრას“ პროგრამმა ერო-

---

*) ეს წერილი ებრაელ ს.-დემოკრატთა ორგანოდან „ვესტნიკ ბუნდა“ არის ამოღებული.

რამდენ ერთს გაუძლოს კაცმა. კალამს იატაკზე ვანარცხებ და ქუჩაში გამოვდივარ.

ქუჩა ხალხითაა სავსე.

აგერ, მოდის „საზოგადო მოღვაწე“. ქუდი თვალებზე ჩამოუფხატნია. მოდის დინჯად, მედიდურად, პირდაპირ არავის უყურებს, იფხორება. უნდა რომ მარტო იმას უმზირონ.

თავს ვუკრავ, სალამს არ მაძლევს, ან სულ ოდნავ მიკანტურებს თავს, თითქოს მეუბნევა:

— თუ არ დაგიშლია, ახლა ქუდსაც მოგიხდიო.

მე მიკვირს მისი მედიდურობა, იგი კი ისევ დინჯად მიაბიჯებს.

მოდის მეორეც... ნაკურთხი მწერალია. ღიმილით აქეთ-იქით თვალებს აცეცებს, ნაცნობ ქალებს ეძებს. ესენი არიან მისი მაქებარნი, მისი მკითხველები. სალამს ვაძლევ, ისიც ჩერდება ხელს მართმევს, მაღლიდან დაბლა მიყურებს .. შუა ლაპარაკში თავს მანებებს და ხარხარით ვიღაც ნაცნობ ქალს მისდევს.

მოდის მესამეც... ეს კი პოეტია. სწერს ლექსებს და ვეებერთელა პოემებს, რომელთაც არავინ არა კითხულობს. შეურაცხყოფილია. კრიტიკოსისაგან ნაკურთხი არ არის, მაგრამ იმედს არა ჰკარგავს: „შთამომავლობა დამაფასებსო“,— ვკითხულობ მის სახეზე...

გინდა გამოელაპარაკო. არა სცალიან. სადღაც მიეჩქარება. სად? ქუჩების სატკეპნელად, საარშიყოდ. ჯერ უცოლოა.

მოდის მეოთხეც... მდიდარია, მილიონერის სახელი აქვს დავარდნილი. რამდენიმე ასს ქართველ მუშასა „ჰკვებავს“, პატრიოტია. გვერდზე ჩამიარა. ჩემისთანა პატარა კაცს ძაღლადაც არ ჩააგდებს.

მოდიან ქალებიც... დარაზმულან, დართულან ეშმაკურად. ზოგს გული აქვს მოღეღილი, ზოგს ზურგი. რიდიკულები, ლორნეტები, საათის ძეწკვები, ძვირფასი სამაჯურები, საყურეები, აკარწახებული კაბები, შლეიფები, ათასი ჯურის შლიაპები—რომელთ მარტო ეშმაკი თუ გამოიგონებოდა—ერთმანეთში არეულა. ქალები თვალებსა სჭუტავენ, კეკლუცობენ, არშიყობენ, იცინიან, ხარხარებენ, თავის გარშემო სურნელებას აფრქვევენ... კედელს ეკრობი, რომ გზა მისცე.

მიდი-მოდის ხალხი დაუსრულებლად, ფუსფუსებს, სადღაც მიეშურება, რაღაცას აკეთებს, ჰფიქრობს, მაგრამ შენი ჯავრი კი არავისა აქვს. მდიდარი გერიდება, ღარიბი გემალება, დიდებული ყურადღებას არ გაქცევს, დამცირებული გულს არ გიხსნის და ამოდენა ხალხში რჩები მარტოდ მარტო, რჩები ობლად.

აუტანელი მდგომარეობაა!

ვიდექ ქუჩაში და პირდაღებული შევყურებდი ხალხს, თანაც ვფიქრობდი.

— ნეტა ისეთი თილისმა მომცა, რომ ყველას ფიქრი და აზრი წავიკითხო, ყველას გულის ნადები გავიგო-მეთქი.

ნატვრამ გამიტაცა.

ამ დროს ქუჩაში რაღაც ჩოჩქოლი ასტყდა: ერთმა მეორეს შემოჰკრა. შეიქმნა ქალების წივილ-კივილი, გაჩნდნენ პოლიციელები, დაერივნენ ხალხს, დაჰფანტეს იგი.

თვალით ვეძებდი ხალხის ჭირისუფალთ, გზის მაჩვენებელთ, მაგრამ ქუჩაში ხელკეტიანი დვორნიკების მეტი აღარავინ იყო.

დაობლდა ქუჩაც...

აუტანელი მდგომარეობაა, კაცი თავის თავს არსად არ ეკუთვნოდეს!

ია ეკალაძე.

მცირე შენიშვნა.

(წერილი რედაქციის მიმართ).

თიბათვის თერთმეტიდან, თანახმად თბილისის გუბერნიის სახალხო სკოლების დირექტორის მოხსენებისა, კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველის განკარგულებით, დაიკეტა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების ორი სკოლა: სოფელ ხელთუბანში და სოფელ წინარეხში. ბ-ნი დირექტორი სწერს გორის სამოქალაქო სკოლის ინსპექტორს: რადგან ხელთუბნისა და წინარეხის საზოგადოებებმა აღარ ინდომეს სკოლის ფულის გადახდა, ამიტომ ეს ზემოხსენებული სკოლები უნდა დაიკეტოსო,—მასწავლებლები თავისუფლები არიანო. თუმცა არც სხვა სკოლების გაღებას აპირობს ხალხი, სანამ, გურულების თქმისა არ იყოს, „მომწყობელნი თვითონ არ მოეწყობიან, როგორც ხალხსა სურს“, მაგრამ სიმართლე მოითხოვს, აქ ცოტა რამე გავიხსენოთ. ნუ თუ, ჭროტა ამ ორი სკოლის ბედსა სწყვეტდნენ, ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას აღარა ეკითხებოდა-რა? იქნება ამ საზოგადოებას ესურვა ამ სკოლების თავის საკუთარ ხარჯით შენახვა?—არა! აქ სხვა რაღაც მიზეზია...

ჯერ ისევ ამ რვა, თუ ათი წლის წინად,—სწორედ აღარ მახსოვს,—დირექციამ საჭიროდ დაინახა ამ სკოლების შესანახად შესული ფული თავის დეპოზიტში გადაეტანა... რაკი მასწავლებლები ჯამაგირის მხრივ დამოკიდებულნი იქნებოდნენ დირექციისგან, თვითონაც იმის ზედგავლენას უნდა დამორჩილებოდნენ და რასაც უბძანებდნენ, აასრულებინებდნენ. ხოლო რასაც უბძანებდა ბიუროკრატია, ეს ყველამ კარგად იცის და ჩიჩინი აღარავის გვჭირდება, ბრმისა და ყრუს გარდა.

...სანამ ეს სკოლები წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების სრულ განკარგულებაში იყვნენ, მასწავლებლები მუდამ თვე, ოცდაერთ რიცხვში, უკლებლად და დაუბრკოლებლად იღებდნენ ჯამაგირს, მიუხედავად იმისა, შეიტანდნენ სოფლები სკოლის შესანახ ფულს, თუ არა. ამიტომ დღესაც მარტო ხელთუბნის საზოგადოებას მართებს სკოლის ფული ხსენებულ საზოგადოებისა ას სამოცდა-ოთხი თუმანი (1640).

აკი ამიტომაც ჩვენი ყოფა ისეთი გაჭირვებული არ იყო, როგორც მერე შეიქნა, როცა დირექციის ხელში გადავიდა ჯამაგირების საქმე. თქვენი მტერი იყოს იმ ყოფაში, რა ყოფაშიაც ჩვენ ჩავვარდით. ბევრჯელ მთელი წლობით არ მიგვიღია ჯამაგირი. ხშირად ხუთი, ექვსი და შვიდ-რვა თვის განმავლობაში ვმსხდარვართ ულუკმა-პუროდ.

...ამ ბოლო დროს მოგვცეს მხოლოდ, დიდი ვაივაგლახისა და თრევის შემდეგ, კუთვნილი ჯამაგირები ერთად. მე ცხრა თვისა და წინარეხის მასწავლებელს თოთხმეტის თვისა. ახლად დამცირებად, მოცდენად და ხარჯად დამიჯდა ამ ცხრა თვის ჯამაგირის მიღება!..

ხელთუბნის სკოლის ნამასწავლებლარი
თ. რაზიკაშვილი.

ენულ საკითხის შესახებ: ჩვენ წინააღმდეგნი ვართო, რომ ეროვნებას ვინმე უსამართლოდ ძალა დაატანოსო.

მაგრამ ნუ თუ ეს საპროგრამო განცხადებაა? აქ მხოლოდ კითხვის წამოყენებაა, პროგრამმისაგან კი მოვითხოვთ ამ კითხვის გადაწყვეტას, პრაქტიკულ პასუხს, ჩვენ კი აქ პროგრამმა ისევ იმავე საკითხს გვიმეორებს პასუხად. ჩვენ ვკითხულობთ, **რა გზით** უნდა მოსპოს სოციალ-დემოკრატიამ ეროვნული დაჩაგვრა?.. და აი, გამოდის ზოგიერთი სოციალ-დემოკრატი და მედიდურად აცხადებს: „ჩვენ პროლეტარიატის პარტია“, ეროვნულ დაჩაგვრის წინააღმდეგი ვართო!—პასუხიც ასეთი უნდა!

რა იტყოდნენ, ნეტავი, მუშები, სოციალ-დემოკრატიულ პროგრამმას პოლიტიკურ დაჩაგვრის შესახებ რომ ეთქვა მხოლოდ: ჩვენ, პროლეტარიატის პარტია, პოლიტიკურ დაჩაგვრის წინააღმდეგნი ვართ“! ეკონომიურ გამორკვეულ პროგრამმის მაგიერაც რომ იგივე სიტყვები გაეგონათ: ეკონომიურ დაჩაგვრის წინააღმდეგნი ვართო.

სხვა კითხვების შესახებ ასეთი პასუხი გვაფიქრებინებდა უთოდ, რომ მისი მთქმელი თავის ჭკუაზე არ არის, აქ კი, ეროვნულ საკითხის შესახებ იგივე პასუხი რად უნდა მიიჩნიოს საკმარისად ადამიანმა?

ცხადია, რომ ამნაირ პასუხით ფონს ვერ გავა ვერავინ, რომ ბოლო უნდა მოეღოს ეროვნულ საკითხის ამნაირ გარკვევას.

ეროვნული საკითხი არსებობს. ეროვნული დაჩაგვრა ხელს უშლის პროლეტარიატის განვითარებას, ხელს უშლის კლასთა ბრძოლას, საჭიროა, ამიტომ, ყოველ ეროვნებას მივანიჭოთ საკმარისი გარანტიები, რომ მის კულტურულ განვითარებას არ შეაფერხებს გარეშე ძალა, რომ მოისპობა ამ საქმეში ძალმომრეობა.

ზოგიერთს ჰგონია, რომ საამისოდ საკმარისია სახელმწიფოში მოქალაქობრივ თანასწორობის გამოცხადება, რომ მთავრობა არავითარ მონაწილეობას არ უნდა იღებდეს ეროვნულ დაწესებულებათა შექმნაში.

ჩვენ გვინდა ეროვნულ დაჩაგვრის მოსპობა და ამიტომ ვცდილობთ ისეთი კანონები შემოვიღოთ სახელმწიფოში, ისეთი დაწესებულებანი შევქმნათ, რომ ყოველი ეროვნება მართლაც უზრუნველყოფილი იყოს დაჩაგვრისაგან. ჩვენ არ ვკმარობთ იმას, რომ მოისპოს არსებული უსამართლო კანონმდებლობა, ჩვენ გვინდა სამაგიეროდ სამართლიანი კანონები შევქმნათ, შესაფერი წესწყობილება შემოვიღოთ.

იქ, სადაც სახელმწიფოში რამდენიმე ეროვნება ცხოვრობს, მთავრობა ყველასთვის უნდა აწყობდეს სასწავლებლებს, ისე უნდა აწყობდეს, რომ არავის არ მიენიჭოს უპირატესობა, რომ არ გამოვიდეს ეროვნული დაჩაგვრა, რომ ძალით არ სცდილობდნენ ადამიანის გადაგვარებას

შეუძლიან განა ერთსა და განუყოფელ სახელმწიფო ორგანიზაციას ამნაირი სამართლიანობა? შეუძლიან განა გაბატონებულ ეროვნებას სხვა ერებისათვის შკოლების შექმნა? შეუძლიან განა მოაწყოს პოლონელების, ლიტოველების, ლატიშების, ებრაელების, ქართველების, სომხების სასწავლებლები ისე, როგორც მათთვის საჭიროა? ნუ თუ ჰგონია ვისმე, რომ მომავალ რუსეთში ერთის მხრივ ყველა ეროვნების მუშები ერთად იქმნებიან და მეორე მხრივ კი ყველა ეროვნების ბურჟუაზია შეჯგუფდება და პროლეტარიატის საწინააღმდეგო ბრძოლას ერთად დაიწყებს. ბურჟუაზია მომავალშიაც ეროვნების მიხედვით დაყოფილი იქმნება და იმ ერის ბურჟუაზია, რომელიც სხვა ერების ბურჟუაზიაზე უფრო ძლიერი იქმნება, ეცდება დანარჩენ ერებს დაადგას თავისი უღელი. ახლავე აქა-იქ უკვე მოსჩანს ამისი ნიშნები, განახლებულ რუსეთის მოლოდინში? შიდა გუბერნიის ბურჟუაზია უკვე ძალას იკრებს და ემზადება ბატონობისთვის. აი, ეს ბურჟუაზია იქმნება მთავრობის წარმომადგენელი მომავალ ცენტრალისტურ რუსეთში.

სოციალ-დემოკრატია ყველა ეროვნებას თითქო თანასწორ უფლებას ანიჭებს და ამ უფლებების განხორციელებას კი ბურჟუაზიის ხელში სტოვებს,—ეს ხომ ბევრის დაპირებას და არაფრის მოცემას წააგავს.

აი, ეს ნაკლი აქვს სოციალ-დემოკრატიულ პროგრამმას, ამ პროგრამმაში სწერია: ყველა ეროვნებას უფლება ეძლევა სწავლა-განათლება თავის დედა ენაზე მიიღოს, მაგრამ ვინ უნდა განახორციელოს ეს უფლება, რა ნაირად, ან ვინ უნდა მოაწყოს ეროვნული სასწავლებელი, რომ მოისპოს ეროვნული შევიწროვება?

ამის პასუხი ერთია,—საჭიროა ეროვნული ავტონომია. ყოველი ეროვნება თავის კულტურულ ცხოვრებას თვითონვე განაგებს,—ეს საქმე სხვებზე უკეთესად მას შეუძლიან და საერთო საქმეებისთვის კი ადგილობრივ სეიმების ფედერაცია უნდა შესდგეს, რომელიც წარმოადგენს საფუძველს ყველა ეროვნების შესაერთებლად.

მხოლოდ ამნაირად კლასთა ბრძოლას გარეშე, ეროვნული, საკითხები აღარ დააბრკოლებს და მუშა ხალხი, ეროვნულ შევიწროვებისაგან განთავისუფლებული, მოახმარებს მთელი თავისი ძალ-ღონე მოანდომას კლასიურ შეგნების განვითარებას.

რუსეთი

8 აგვისტოს სახელმწიფო ხაზინაში იყო 119 მილიონი მანათი. ერთი კვირის შემდეგ ფულმა 176 მილიონ მანათამდე აიწია, მაგრამ ხაზინამ ამ მომატებას მაინც ყურადღება არ მიაქცია და კიდევ გამოუშვა 20 **მილიონ მანათის ქაღალდის ფული**. ამ ჟამად მთელ რუსეთში ტრიალებს 1060 მილიონი მანათი. სახელმწიფო ხაზინამ აიღო 50 მილიონ მანათის ობლიგაციები ახალ 5%-იან შინაურ სესხისა და ახალ ქაღალდის ფულიც სწორედ ამიტომ გამოუშვა (რ. ვ.).

◆ პეტერბურგის პოლიტეხნიკუმის საბჭომ ოფიციალური ქაღალდი მიიღო იმის შესახებ, რომ დამსახურებული პროფესორი კირპიჩევი სამართალში იქმნა მიცემული. კირპიჩევს პოლიტიკური დანაშაულობა ბრალდება.

◆ საერო განათლების სამინისტრომ ამას წინად ნება მისცა ქალაქ სევსკს ქალაქის ხარჯზე რეალური სასწავლებელი დაეარსა. ახლა იმავე სამინისტრომ **უარი სთქვა თავის ნებართვაზე** და სასწავლებლის დაარსება აუკრძალა (რ. ვ.).

◆ თეოდოსიაში სდგას ამერიკული გემი „კირონა“, რომელსაც მეზღვაურებად თითქმის სულ ჩინელები ჰყავს. მეზღვაურებმა ნავთსადგურის უფროსთან იჩივლეს, **გემის უფროსი სასტიკად გვეპყრობა** და შანხაიდან წამოღებულსა და დამპალ საჭმელს გვაჭმევსო. ამის გამო სიმფეროპოლიდან გუბერნატორი ჩამოვიდა და საქმე ადგილობრივ გამოიძია. მართლა გამოჩნდა, რომ მეზღვაურებს დამპალსა და უვარგისს საჭმელს აძლევდნენ, რის გამოც მათ შორის ავადმყოფობა გაჩნდა. გუბერნატორმა ეს სურსათი ზღვაში გადააყრევინა და ახალი აყიდვინა (რ. ვ.)

◆ პორტ-არტურის დამცველი გენ. სტესელი ავადმყოფობისა გამო დათხოვნილ იქმნა ორის თვით. სტესელი პორტ არტურიდან დაბრუნების შემდეგ ისედაც **არსად მსახურებდა და არაფერს აკეთებდა** (რ. ვ.)

◆ ვლადიმირის გუბერნატორმა კოვროვის საერობო სტატისტიკურ საბჭოს თავმჯდომარეს შეატყობინა, რომ, შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებით, ამ საბჭოს **კრებების გამართვის უფლება ჩამოერთვა**. (რ.).

◆ ვარშავის გენერალ-გუბერნატორი **არავის აძლევს შეკრების ნებას**: არც საბჭოს, არც სხვადასხვა სამეცნიერო საზოგადოებებსა და არც საეჭრო და სამრეწველო დაწესებულებებს (რ.ს.).

◆ ლოძში დაბანაკებულ ჯარების უფროსმა ბრძანება გასცა, ყველა **სალდათს თოფი ყოველთვის გატენილი უნდა ჰქონდესო**. ამას წინად ერთ სახლიდან ერთი სალდათი გამოვიდა და ქუჩაში თოფის გატენა მოინდომა. თოფი უცაბედათ გაუვარდა და ერთი ტყვიით იქვე ორი კაცი მოჰკლა. ზოგნი ამბობენ, სალდათმა განგებ ესროლაო თოფიო (რ. ს.).

◆ ომსკის საეპარქიო მეოთხე კრება 20 აგვისტოს **ადმინისტრაციის განკარგულებით არ შესდგა** (რ. ს.).

◆ სევასტოპოლის საბჭომ საერო განათლების სამინისტროს გიმნაზიის ასაშენებლად 100,000 მანათი სთხოვა სესხად, მაგრამ **უარი მიიღო** (რ. ს.).

◆ ხმა დადის, ვითომ ს. ვიტტე ერთსა და იმავე დროს **მინისტრ-პრეზიდენტადაც იქნება დანიშნული და შინაგან საქმეთა მინისტრადაც**. იმასაც ამბობენ, ვითომ პოლიციის მინისტრს გენ. ტრეპოვს შინაგან საქმეთა მინისტრის ადგილი შესთავაზეს, მაგრამ იმან უარი განაცხადაო (რ.ს.).

◆ განზრახულია შორეულ აღმოსავლეთის სანამესტნიკოს გარდა **ციმბირის სანამესტნიკოც დაარსონ**. ნამესტნიკად, როგორც ამბობენ, გენ. ლინევიჩს დანიშნავენ (რ. ს.).

◆ ამბობენ, ადმირალ როჟესტვენსკის, რუსეთში დაბრუნების შემდეგ, საზღვაო მინისტრის **ბირილოვის თანაშემწედ დანიშნავენო** (რ. ს.).

◆ საზღვაო მინისტრი ბირილოვი ამ დღეებში სევასტოპოლში ჩამოვა და შავი ზღვის ფლოტს დაათვალიერებს. ამ რევიზიას, როგორც ამბობენ, **დიდი მნიშვნელობა ექნება** შავი ზღვის მეზღვაურებისთვის (რ.).

◆ 20 აგვისტოს რიგაში **იარაღის მაღაზია გაუქურდავთ**. უცნობებს ფულისთვის ხელი არ უხლიათ, ხოლო რაც იარაღი იყო მაღაზიაში—სულ წაუღიათ (ნ. ჟ.).

◆ ხმა დადის, ვითომ ხაზინამ აღმოსავლეთ ჩინეთის რკინის გზის საზოგადოებას **ის ზარალი უნდა გადაუხადოს**, რაც ამ საზოგადოებას ომის გამო მოუვიდა მანჯურიაში. ზარალი ასეა ნაანგარიშევი: იაპონელებს რჩებათ რკინის გზა 600 ვერსის სიგძით, თითო ვერსი ღირს 100,000 მანათი: სულ—60 მილიონი მან. (რ.)

◆ დუნაის შესართავთან გამუდმებით რუსეთის ერთი ნაღმოსანი სდგას. ახლა საზღვაო სამინისტროს გადაუწყვეტია, ეს ნაღმოსანი აქედან სამუდამოდ წამოიყვანოს. მიზეზი ის არის, რომ რუმინიაში გადასული მეზღვაურები „პოტიომკინ“-იდან ნაღმოსნის მეზღვაურებს ხშირად ხვდავენ და **პოლიტიკურ პროპაგანდას ეწევიან**. (ნ. ჟ.).

◆ სამხედრო სამინისტროში ლაპარაკი აღძრეს შესახებ იმისა, რომ აფიცრებს სამსახურს გარეთ **სამოქალაქო ტანისამოსის ტარება აეკრძალოთ** (ნ. ჟ.).

◆ იმ 3000 მატროსს, რომელნიც ჯარში ჩაირიცხნენ უბრალო სალდათებად, ამ დღეებში გაგზავნიან შორეულ აღმოსავლეთში. სანამ ზავს ჩამოაგდებდნენ, **მთავრობას უნდოდა ეს მატროსები ომში გაეგზავნა და მოწინავე პოზიციებზე დაეყენებინა**, მაგრამ რაკი ომი გათავდა, მატროსებს ციმბირის სხვადასხვა პოლკებში გაანაწილებენ. მატროსების გადაყვანა ციმბირში პავლოვსკის გვარდიის პოლკის აფიცრებს მიანდვეს (ს. ო.).

◆ ოფიციალურ ცნობებით, **პეტერბურგში 3000 პოლიციელია**. პოლიციაზე ქალაქს ყოველ წელს 2 მილიონი მანათი ეხარჯება (რ. ს.).

◆ 16 და 17 აგვისტოს მიტავასა და რიგას შორის ტელეგრაფი და ტელეფონი არ მუშაობდა. უცნობებს **სატელეგრაფო ბოძები დაეჭრათ** და მავთულები დაეწყვიტათ (ს. ო.).

◆ ამ დღეებში დვინსკის სასამართლო გაარჩევს 500 გლეხის საქმეს, რომელთაც **აგრარულ მოძრაობაში მონაწილეობის მიღება ბრალდებათ** (ს. ო.).

„ივერიის ფოსტა“

ს. ჭაგანში. ბ-ნ **სპირ. ხ—იას**, თქვენი წერილი „სარწყავი არხის“ შესახებ არ დაიბეჭდება.

ს. აკეთში. ბ-ნ **გიორგი მახარაძეს**, გამოგვიგზავნეთ, თუ ივარგებს, სასყიდელსაც გავიღებთ, წყალში თევზი არავის დაუფასებია..

ქ. თელავი. ბ-ნ **ინკოგნიტოს**, თქვენი წერილი თელავში კაცის ჩაქოლვის შესახებ არ დაიბეჭდება. დაგვიანა.

ს. ერედვი. ბ-ნ **დამსწრეს**, რედაქცია ხელ-მოუწერელ წერილებს არა ბეჭდავს.

ქ. სიღნაღი. **ნიკო ახმ—შვილს**, არ დაიბეჭდება. დაგვიანებულია.

ქ. ოზურგეთი. ბ-ნ **ეკალს**. თქვენი ლექსი „მატროსების გალეძება“ არ დაიბეჭდება. გირჩევთ ლექსების წერას თავი დაანებოთ, პოეტი არა ხართ.

დ. ცხინვალში. მოწაფე **დ. კახ—ძეს**, ლექსი „კერპი“ არ დაიბეჭდება. პოეზია აკლია.

ს. ვეჟინი. **კოლას**. თქვენი ლექსი „ზამთრის ოცნება“ არ დაიბეჭდება. უშნოა.

ქ. თელავში. **თელავის საზოგადო საკრებულოს მამასახლისს ხ—ს.** გაზეთი მოგვივათ... უდანაშაულოთა დასჯას დიდიხანია ნიადაგი გამოეცალა. ჩვენ პოლიციელები არა ვართ.

ღამის დეპეშები

(რუსეთისა და პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან)

27 აგვისტო.

ნიუ-იორკი, 26 აგვისტო. პრესსა იაპონელების საქციელებისაგან გაკვირვებულია. თუ გარრიმანზე დაცემის ამბავი მართალი გამოდგა, ამერიკა იაპონიის მთავრობას უსათუოდ ბოდიშის მოხდას და დამნაშავეთა დასჯას მოსთხოვს. „ჰერალდ“-ის სიტყვით, იაპონიის ხალხი ამისთანა საზავო პირობების მიღებას შეერთებულ შტატებს აბრალებს. ამ ორ სახელმწიფოს კეთილი განწყობილება უსათუოდ დაირღვევა. ამბობენ, სტატს სეკრეტარი ტაფტი უკან დაბრუნებისას იაპონიაში არ შეივლის, რადგანაც ამით უნდა მოსალოდნელი შეურაცხყოფა თავიდან აიცილოს. ვაშინგტონში ფიქრობენ, რომ ტოკიოში მომხდარი არეულობა ზავის პირობებზე ვერავითარ გავლენას ვერ იქონიებსო. კომურა გარეშე საქმეთა მინისტრს, რუტს, საათ-ნახევარი ელაპარაკა.

ლონდონი, 26 აგვისტო. ბაქოს ნავთის ქარხნებში მომუშავე ინგლისელები ბედ-იღბალზე აქ ძალიან შიშობენ. პეტერბურგში მყოფ ინგლისის ელჩმა კავკასიის ნამესტნიკს დეპეშა გაუგზავნა და სთხოვა, ინგლისელების ქონებისა და სიცოცხლის დასაცველად ენერგიული ზომები მიიღოს. ამისთანავე თხოვნა ლამზდორფსაც გაეგზავნა.

პარიზი, 26 აგვისტო. მაროკოს კონფერენცია ესპანიაში შეიკრიბება.

კავკავი, 26 აგვ. აფშერონის პოლკის ერთი ბატალიონი ბაქოში გაიგზავნა. ჯარი საომრად არის გამოწყობილი.

სიმფეროპოლი, 26 აგ. სამხედრო სასამართლოს განაჩენი გაჩიდლოვეროვის შესახებ დამტკიცებულ იქმნა. გაჩიდლოვეროვს ფეოდოსიის საპყრობილეში ჩამოარჩობენ.

ტოკიო, 26 აგვ. პოლიტიკურ პარტიების ბელადთა კრებამ მთავრობას სთხოვა, ზავის სამდვილო პირობები გამოაცხადეთო. მთავრობამ თხოვნა აუსრულა და ხვალ გამოაცხადებს ზავის პირობებს. იმავე ბელადებმა დაადგინეს: მოვთხოვოთ მთავრობას, რომ დაუყოვნებლივ მოიწვიოს არა ჩვეულებრივი საპარლამენტო კრება და რევოლუციონერები მშვიდობიან საშუალებებით დაამშვიდოს.

პეტერბურგი, 26 აგვისტო. სახელმწიფო ბანკის ტფილისის განყოფილების კონტროლიორი ფონ-შპინდლერი დაინიშნა ხსენებულ ბანკის ვოლოგოდის განყოფილების გამგედ, ერევნის სახაზინო პალატის გამგე მიხაილოვი დაინიშნა ვოლსკის სახაზინო პალატის გამგედ.

ლონდონი, 26 აგვისტო. ტოკიოში მომხდარ არეულობის გამო პრესსა თავის შეხედულებას აცხადებს. „ტაიმს“-ი სწერს: იაპონიის მეგობრები ძალიან გააკვირვა იმ გარემოებამ, რომ ზავის პირობების უკმაყოფილება იაპონელებმა ამ სახით გამოსთქვესო. ეს გარემოება იაპონიას სახელს გაუტეხსო. ქრისტიანთა ეკლესიების გადაწვა ამტკიცებს, რომ ხალხი ქრისტიანებს თავის მტრებად სთვლის. „დეილი ტელეგრაფი“ ამბობს, იაპონიას რომ ხელშეკრულობა არ მიეღო, ევროპისა და ამერიკის სიმპატიას დაჰკარგავდაო.

შანხაი, 26 აგვისტო. გემით მოსული მგზავრები იუწყებიან, რომ ტოკიოში უცხოელებს ძალიან მტრულის თვალით უყურებენო, ინგლისის საელჩოსთან მომხდარ დემონსტრაციას იმითი ხსნიან, რომ რწმუნებულთა მიერ ამისთანა საზავო პირობების მიღებას ინგლისის გავლენის შედეგად სთვლიან. ფიქრობენ, რომ იაპონიაში პოლიტიკური ამბოხება მოხდებაო. ბირჟამ დაიწია.

კოპენჰაგენი, 26 აგვისტო. ცნობილმა მწერალმა გეორგ ბრანდესმა ის აზრი გამოსთქვა, რომ დანიაზე ინგლისის პროტექტორატი შეიძლება დაწესდესო,

პეტერბურგი. გაზეთების სიტყვით, სათათბიროსავით სახელმწიფო საბჭოსაც საკანონმდებლო ინიციატივის და მინისტრთა შეკითხვის უფლება მიენიჭება. ნავთის მრეწველთა კრების თავმჯდომარის პაპპეს სიტყვით, ბაქოს ას-სამოცი მილიონი მანათი ზარალი მოუვიდაო.

ნიუ იორკი, 26 აგვისტო. სატოს პრესსის წარმომადგენელისთვის განუცხადებია: შორეულ-აღმოსავლეთში იაპონია იმდენსავე ჯარს იყოლიებს, რამდენსაც რუსეთიო.

ტოკიო, 27 აგვისტო. არეულობა განახლდა და უმაღლეს წერტილამდე მივიდა. გაფთრებული ბრბო ტრამვაის ვაგონებს ამტვრევს. დატუსაღებულია ათას კაცამდე. საფრანგეთის საელჩოს სახლს ოთხმოცი სალდათი იფარავს. ტოკიოს მუნიციპალიტეტი პორტსმუტის ხელშეკრულობის გაუქმებას თხოულობს.— შანხაიში ხმა დადის, რომ ტოკიოში ბრბო ინგლისის მისსიას დაეცაო. მთავრობის განკარგულებით ოთხი გაზეთის გამოცემა შეჩერებულ იქმნა.

დროებითი რედაქტორი **ფ. გოგიჩაიშვილი.**
გამომცემელი **თ. პავლე ი. თუმანიშვილი.**

განცხადებანი

როიალები, ფისგარმონები.
პიანინო,
გიტარები, გრამოფონები, ფლეიტები, სიმები,
კლარნეტები და სხ. და სხ.

ყველა ამ სამუსიკო იარაღების შეძენა შეიძლება ფასების ნაწილ-ნაწილად გადახდითაც.

მსურველთ პრეისკურანტები მუქთად ეგზავნებათ.

კავკასიის ცენტრალური საწყობი სამუსიკო საკრავებისა
ბ. მ. მირიმანიანისა.
ტფილისი, სასახლის ქუჩა, ქართვ. თავად-აზნაურთა ქარვასლაში.

Кавказское ДЕПО музыкальныхъ инструментовъ
Б. М. МИРИМАНIАНЪ.
Тифлисъ. Дворцовая, д. груз. дворянства.
(25—6.—1)

გამოვიდა და იყიდება ყველა წიგნის მაღაზიაში, აგრეთვე „ივერიის“ რედაქციაშიაც
ნაწერები
პეტრე უმიკაშვილისა
გამოცემა „ცისკარი“-ს ამხანაგობისა.
წიგნში ჩართულია ავტორის სურათი და რამდენიმე ილუსტრაცია.
ფასი 30 კაპ.

საკომერციო კურსები
ქალებისა და ვაჟებისათვის
(Тифлисъ, Сололаки, Лермонтовская ул., № 9)

კურსების დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური საკომერციო განათლება შესძინოს მსურველთ, **როგორც ქალებს, ისე ვაჟებს**, და მოამზადოს ვარჯიშობის შემწეობით ანგარიშის დახელოვნებით მცოდნენი.

სწავლის გათავების შემდეგ მოწმობანი ეძლევათ. 1905—1906 სამოსწავლო წელს შემდეგი საგნები ექნება სასწავლებელი: 1) **საკომერციო ეკონომია**, 2) **საკომერციო არითმეტიკა**, 3) **ბუხჰალტერია** (მარტივი, ორკეცი და საბანკო), 4) **არითმეტიკა საანგარიშო ჩოთქი**, 5) **საკომერციო მიწერ-მოწერა**, 6) **სავაჭრო და სათამასუქო წესდებანი**, 7) მსწრაფლ-წერა და **წერა-გაკრული და შნოიანი** (исправленiе дурного почерка).

სწავლა დაიწყება 15 სექტემბრიდან. ახლად შემომსვლელთა მიღება დაიწყება 1 სექტემბრიდან, ყოველ დღე, დილის 10 საათიდან თორმეტამდე და საღამოს 4 საათიდან 8 საათამდე, კურსების სადგომში, სახლი ალექსანდრე ფრიდონოვისა, № 9, სერგიევისა და ლერმონტოვის ქუჩების კუთხეში.

პროგრამები და წესები კურსებისა უსასყიდლოდ შეიძლება მიიღოს მსურველმა კურსების სადგომში და გაეგზავნოს.

ვინც ქალაქს გარეშე სცხოვრობს, შეუძლიან წერილით მიჰმართოს კურსების დამაარსებელს ს. პ. მანუელიანცს, ტფილისს.

უფასოდ ვასწავლით მსურველთ საწერ მაშინაზე მუშაობას, კურსების სწავლა ყოველ დღეა.
(24—17)

Дозволено цензурою, Тифлисъ, 27 Августа 1905 г.
ელექტრომბეჭდავი „ცისკარი“, ფრეილინის. ქ., № 5.